



სამედისცილო

გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
 უნივერსიტეტის გამომცემა
გამოდის 1957 წლიდან
 №6 (304) ივნისი, 2017 წელი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ბიულეტენი

გვ. 2-3

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი ზურაბ კაკაბაძე აკადემიკოს ნინო ჭავჭავაძის პრემიითა და მედიით დაჯილდოვდა

21-ე საუკუნეში ნებანეასიური მედიცინა განაგრძობს სწრაფ განვითარებას სწრაფ მოთხოვნებს აკადემიკოს ნინო ჭავჭავაძის პრემიითა და მედიით დაჯილდოვდა. 21-ე საუკუნეში ნებანეასიური მედიცინა განაგრძობს სწრაფ განვითარებას სწრაფ მოთხოვნებს აკადემიკოს ნინო ჭავჭავაძის პრემიითა და მედიით დაჯილდოვდა.

გვ. 5-6

კურსდამთავრებულები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შესახებ

გვ. 4

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებული – ნინო ყანადაშვილი: „უხედავად წესდის წინ სულ ვნებოვარდები, რადგან გინებავდი სტუდენტები გვინებ უკეთ მომზადებულები გავმდინა, მაგრამ დავინებდი, რომ რვენს უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა არაფრით ჩამოვანებდა იქნა“

გვ. 7

ახადგანდა მკვლევარი სანტაშორისო ანკანეზა:


თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტ მინი კამაშვილის შინაგან კლინიკაში საქმიანობაში მისი კვლევის თვალსაზრისი მნიშვნელოვნად განაზრდოვდა – სარქოლოგი თემის განდა, რომელიც ერთრომულიაში მათაბოლური რეკონსტრუქციას ანება, კანსერული ქანთვანი ახადგანდა კიდევ რადენიგე სანიტანსო პროექტიანსა დანიტანსაბული

გვ. 7

„სადღაც, სინაიტყვანს მიღმა“ – თეატრი „ჰიგინს“ პრემიანა

გვ. 8

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის



პროფესორი ზურაბ პაღალაძე, რექტორი:
 მოგილოცავთ დღევანდელ დღეს, რომელიც მართლაც განსაკუთრებულია თქვენს ცხოვრებაში, დღე, რომელიც თქვენ თავად შექმენით, მოიტანეთ თქვენი შრომით და ძალისხმევით. ვფიქრობ, ბევრი თქვენგანი წარმატებით გააგრძელებს სწავლას რეზიდენტურაში, ზოგი მაგისტრატურას აირჩევს ან დოქტორანტი გახდება, მნიშვნელოვან სიტყვას იტყვის სამედიცინო მეცნიერებაში. სტუდენტობის ლამაზი წლები კი, შეიძლება ითქვას, დღეს სრულდება და ახალი ეტაპი დგება თქვენს ცხოვრებაში.

დღევანდელი დღე განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასაც გაკისრებთ, რადგან არჩევანის წინაშე დგახართ – თუ რა გზით, რა მიმართულებით წახვალთ, რა სპეციალობას აირჩევთ, რაც მნიშვნელოვანია თქვენი მომავალი წარმატებული საექიმო საქმიანობისთვის. მინდა სწორი არჩევანი გისურვოთ და თქვენთან ერთად მივულოცო ეს დღე თქვენი ოჯახის წევრებს, ახლობლებს, რომელთა თანადგომა მნიშვნელოვანი იყო, რომ წარმატებით მოსულიყავით დღევანდელ დღემდე. თქვენი ასეთივე თანადგომა და გულშემატკივარი იქნება მუდამ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერ-

სიტეტიც. ხშირად მითქვამს: ყოფილი უნივერსიტეტი არ არსებობს – ეს თქვენი უნივერსიტეტია. გიყვარდეთ და ყოველთვის გახსოვდეთ იგი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დღესაც თავისი კურსდამთავრებულების მხრებზე დგას, რომლებიც ბევრს აკეთებენ მშობლიური უნივერსიტეტისთვის – იქნება ეს სტუდენტების და ახალგაზრდა სპეციალისტების სტაჟირება საზღვარგარეთ, წარჩინებული სტუდენტებისთვის სტიპენდიების დაწესება თუ ბევრი სხვა სიკეთე, რომლითაც შეუძლია თქვენს თაობას, ისარგებლოს. მჯერა, როცა წარმატებული პროფესიონალები გახდებით, არაერთი თქვენგანი დაუბრუნდება თავის უნივერსიტეტს, ზოგიც წარმატებით იღვანებს უცხოეთში და უკვე თქვენ თვითონ მოგეცემათ შესაძლებლობა იზრუნოთ მომავალი თაობისთვის.

დარწმუნებული ვარ, თქვენი პროფესიული საქმიანობა იქნება სანიშნო და წარმატებით აღსავსე, შეძლებთ დაძლიოთ ბევრი პრობლემა და ღირსეულად უპასუხოთ გამოწვევებს; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი კი ყოველთვის იამაყებს თქვენი წარმატებებით. კიდევ ერთხელ გილოცავთ და წარმატებებს გისურვებთ.

პროფესორი ხათუნა თოღაძე, ვიცე-რექტორი:

ჩემი უნივერსიტეტი! – ასე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს საქართველოს მოქალაქეების გარდა, კიდევ 60-ზე მეტი ქვეყნის მოქალაქეები უწოდებენ. ჩვენ ერთი დიდ მრავალეროვანი ოჯახს გვაქვს და ერთად ვაკეთებთ ძალიან მნიშვნელოვან საქმეს განათლების სფეროში. და ჩვენი საქმის შედეგი, წარმატების თვალხილული მაგალითი თქვენ ხართ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები.

დასრულდა კიდევ ერთი სასწავლო წელი და სიამაყით მოგმართავთ უკვე კოლეგებს – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წლებიდან კურსდამთავრებულებს. მჯერა, რომ თქვენი სახით პროფესიონალი რიგებს შეემატება არაერთი ექიმი, სტომატოლოგი, რეაბილიტოლოგი, ფარმაცევტი და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი კი ყოველთვის იქნება თქვენი უნივერსიტეტი, რომელიც თვალს ადევნებს საკუთარი კურსდამთავრებულების წარმატებებსა და მათთან ერთად იზიარებს წინსვლის სიხარულს. ჩვენ თქვენს მხარდაჭერას არასდროს შევწყვეტთ.

დღის შემდეგ უკვე თქვენგან, კურსდამთავრებულებისგან, ველით იმის დასტურს, რომ ჩვენი ერთად გატარებული წლები იყო ნაყოფიერი. ეს წლები თქვენი წარმატების საფუძველი და გამართლად, სწორად გაჭრილი საძირკველი. ახლა უკვე თქვენს შრომისმოყვარეობაზე, თავდადებაზე, საკუთარ თავზე განუწყვეტელ მუშაობაზე და მოტივებული, რამდენად მაღალი იქნება თქვენი კარიერის ასაგებად ამოყვანილი კედლები.

წარმატებას გისურვებთ ამ მნიშვნელოვან ასპარეზზე. პროფესიისადმი ერთგულება, უანგარობა, ჰუმანიზმი, მუდმივი სრულყოფისკენ სწრაფვა სამედიცინო სფეროსთან დაკავშირებული პროფესიების განუყოფელი ნაწილია. თქვენ ღირსეული პიროვნებები და პროფესიონალები დადგებით, მნიშვნელოვან სიტყვას იტყვით თქვენს მომავალ პროფესიულ საქმიანობაში. თქვენს უნივერსიტეტს სჯერა ამის!

გილოცავთ ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყებას! წარმატებებით გველოთ!

პროფესორი რიმა ბარიაშვილი, ვიცე-რექტორი:

ძვირფასო კურსდამთავრებულებო, გილოცავთ ცხოვრების ერთი საფეხურის წარმატებით დასრულებას და ახალი ეტაპის დაწყებას.

წინ ახალი სამყარო გელით და უფრო მეტი პასუხისმგებლობა გეკისრებათ. ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში ყოფნა ხომ ამქვეყნად ყველაზე დიდი პასუხისმგებლობაა...

მინდა ყოველ თქვენგანს გისურვოთ წარმატებები თქვენი ცხოვრების გზაზე! ჯანსაღი ცხოვრებით გეცხოვროთ, უკულო გზებით გველოთ, იღვალადი ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მეგზური, საკუთარი თავის რწმენა და სიყვარული არასდროს დაკარგოთ...

თქვენი საყვარელი უნივერსიტეტი ყოველთვის თქვენ გვერდით იქნება, ყველა თქვენი წარმატება ჩვენი წარმატება იქნება. ვამაყობთ, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, რომელთა რიცხვი 40000-ზე მეტია, სადღესოდ ბევრ წამყვან კლინიკას და დაწესებულებას ამშვენებენ მთელ მსოფლიოში.

დარწმუნებული ვარ, რომ მზად ხართ რთული და საინტერესო ცხოვრებისეული ბარიერების გადასალახად და საყვარელი Alma-Mater თქვენი იამაყებს. გვჯერა, რომ სერიოზულ წვლილს შეიტანთ სამედიცინო მეცნიერებისა და კლინიკური დარგების განვითარების ისტორიაში.

პროფესორი თინათინ ჩიქოვანი, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი:

დღეს ნამდვილად საზეიმო დღეა – დასრულდა სტუდენტობის საუკეთესო წლები და თქვენ სრულიად ახალ ცხოვრებას იწყებთ. მახსენდება 6 წლის წინანდელი ჩვენი შეხვედრა, თქვენი მოლოდინი და იმედით სავსე თვალები... წლების მანძილზე ვცდილობდით ამ იმედების გამართლებას, არ ვიცი, რამდენად შეძელით ეს, თუმცა მცდელობა არ დაგვიკლია.

ბედნიერი ვარ, რომ თქვენ სწორედ ის გამოიყვანა ხართ, რომელსაც შესაძლებლობა მიეცა კლინიკური დისციპლინები უკვე საკუთარ კლინიკებში გაეგლო, რაც მნიშვნელოვანია თქვენი კვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ჩვენ სწრაფი ცვლილებების, ტექნოლოგიური პროგრესის ეპოქაში ვცხოვრობთ, კონკურენტუნარიანი გარემო კი მეტ ცოდნას, შრომას და ძალისხმევას მოითხოვს თქვენგან. ვისურვებდი, დღევანდელი დღე დაიბასოვოთ არა როგორც სწავლის დასრულების დღე, არამედ როგორც ახალი ცხოვრების დასაწყისი; დღე, როცა იწყება თქვენი ცხოვრება გაცილებით დიდი პასუხისმგებლობის გრძობით, რადგან თქვენ უკვე ექიმები ხართ და ამიტომაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გაკისრიათ საზოგადოების წინაშე. მინდა გითხრათ, რომ სწავლა არათუ დამთავრდა, არამედ ახლა იწყება – სწავლა იმისა, რასაც მთელი ცხოვრება უნდა მიუძღვნათ.

საზოგადოება თქვენგან ბევრს ელის, ელის იმ პრობლემების გადაჭრას, რომლის წინაშეც დგას დღეს მედიცინა. პრობლემების გადაჭრა კი უნდა შეძლოთ იმ ცოდნაზე დაყრდნობით, რომელიც ამ წლების მანძილზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შეიძინეთ. გისურვებთ წარმატებებს და გთხოვთ: არასდროს დაივიწყოთ თქვენი მშობლიური თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თქვენი ალმა მატერი, რომელიც იყო პირველი საფეხური თქვენს პროფესიონალებად ჩამოყალიბების გზაზე.

პროფესორი სამსონ მღვინეიშვილი, სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი:

სწრაფად გაიბრინა სტუდენტობის ლამაზი წლები და აი, ეს დღეც დადგა. თითქოს გუშინ იყო, პირველკურსელები რომ იყავით, დღეს კი უკვე დამამთავრებელი გამოცდისთვის ემზადებით. ნამდვილად საამაყოა, რომ თქვენ განათლება მიიღეთ ამ უნივერსიტეტის კედლებში – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ხომ სამედიცინო განათლების გამორჩეული ტაძარია, დიდი ტრადიციების მქონე უმაღლესი სასწავლებელი, სადაც სახელგანთქმული ექიმები, ფარმაცევტები, მეცნიერები აღიზარდნენ, რომლებიც ამაყობენ, რომ ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან, დარწმუნებული ვარ, ასევე იამაყებთ თქვენც მომავალში.

სტომატოლოგიის ფაკულტეტი ერთ-ერთი გამორჩეული და წარმატებული ფაკულტეტებია: კლინიკური ბაზები, ფაკულტეტზე სწავლების თვალსაზრისით განხორციელებული სიხალეები, რაც ცოდნის შეფასების ახალი მეთოდის – ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) – დანერგვას გულისხმობს, მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია თანამედროვე სტანდარტების შესატყვის პროფესიონალებად ჩამოყალიბებისთვის. თქვენ შესაძლებლობა გქონდათ სწორედ ასეთ პირობებში მიგელოთ განათლება ჩვენს უნივერსიტეტში, რაც დაგვებარებათ კონკურენტუნარიან გარემოში წარმატებული მოღვაწეობისთვის.



უჩინებელია ცენტრის

დღეიდან დამოუკიდებელ პროფესიულ ცხოვრებას იწყებთ. დარწმუნებული ვარ, პროფესიული ზრდის კვალდაკვალ იღვანებებთ დარგის განვითარებისთვის.

გისურვებთ წარმატებებს მომავალ საქმიანობაში.

პროფესორი ირაკლი მჭედლიძე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი:

ძვირფასო კურსდამთავრებულებო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის სახელით გილოცავთ ბაკალავრიატის დამთავრებას და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიღებას, გისურვებთ წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბევრი თქვენგანი თავისი პროფესიული საქმიანობით ასახელებს ჩვენს ფაკულტეტს და სამედიცინო უნივერსიტეტს.

თქვენ წინაშე საქმიანობის ფართო პერსპექტივაა გადაშლილი. ერთი მხრივ, შეგიძლიათ, სწავლა გააგრძელოთ მაგისტრატურაში, შემდეგ კი – დოქტორანტურაში და კიდევ უფრო აიმაღლოთ ცოდნის დონე, ანდა დაიწყოთ პრაქტიკული საქმიანობა და ჩადგეთ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში. უკვე საკმაო ცოდნა გაქვთ შეძენილი უნივერსიტეტის კედლებში, რათა ღირსეულად შეასრულოთ თქვენზე დაკისრებული მოვალეობა და გააგრძელოთ ის სახელოვანი გზა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს პრევენციული მედიცინის კორიფეხმა. ამასთან, მინდა გითხრათ, რომ როგორც ფაკულტეტის დეკანი, ისე თქვენი პროფესორ-მასწავლებლები, ისე თქვენ გვერდით ვიქნებით და ყოველთვის მხარში დაგიდგებით, როდესაც დაგჭირდება ჩვენი თანადგომა, დარიგება, მიმართულების მიცემა და ა.შ.

მინდა გითხრათ, რომ პროფესიული საქმიანობის გზა ყოველთვის ია-ვარდით არ არის მოფენილი და შეიძლება გარკვეული პრობლემები და სიძნელეები შეგხვდეთ ამ გზაზე. მაგრამ თუ არ შეუშინდებით ამ სიძნელეებს, იქნებით საკუთარი თავში დაჯერებული და სრულად გამოიყენებთ იმ ცოდნას თუ უნარ-ჩვევებს, რაც უნივერსიტეტში შეიძინეთ, წარმატებით გადალახავთ თქვენს წინაშე მდგარ პრობლემებს.

მინდა დაგლოცოთ თქვენი შემდგომი საქმიანობის გზა და გისურვებთ წარმატებებს, როგორც პირად ცხოვრებაში ისე, განსაკუთრებით, პროფესიულ საქმიანობაში.

პროფესორი ლალი ბერაშვილი, ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი:

ჩემო ძვირფასო სტუდენტებო, გილოცავთ თქვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს დღეს. დღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტის ცხოვრების ფართო უზაზე აცილებს კიდევ ერთ წარმატებულ კურსს. ჩვენმა პროფესორ-მასწავლებლებმა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელებმა ყველაფერი გააკეთა თქვენი განათლებისთვის, ცოდნის დონის ამაღლებისთვის, პროფესიონალებად ჩამოყალიბებისთვის. ერის სულიერი მამა – ილია ჭავჭავაძე საუნივერსიტეტო განათლებაზე ამბობდა: „ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ხიდია სინდელსა და სინათლეს შორის ბედისაგან გადებული“. ამ რთულ გზაზე თქვენთან ერთად ვიარეთ ოთხი წლის განმავლობაში, ამიტომაც ვგრძნობთ დიდ პასუხისმგებლობას თქვენ წინაშე, რადგან ჩვენ ჩაუყარეთ საფუძველი თქვენს წარმატებულ მომავალს.

სასწავლო პროცესთან ერთად, თქვენ გაიარეთ პრაქტიკა სხვადასხვა ფარმაცევტულ კომპანიაში, იყავით სტაჟორები, ზოგიერთი თქვენგანი უკვე ამ კომპანიების სრულფუნქციონირებელი თანამშრომელია. ამის შემდეგ ზოგიერთი თქვენგანი გააგრძელებს სწავლას მაგისტრატურაში, ზოგი პრაქტიკულ საქმიანობას შეუდგება, თუმცა, თქვენ ყოველთვის იქნებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, რაც, დამერწმუნეთ, ძალიან საპატიო და საამაყოა. გავადრო და აქ გატარებული წლები, ზოგჯერ მეცადინეობაში გათენებული ღამეები, გამოცდაზე წარუმატებლობით გამოწვეული წყენა ტკბილ მოგონებად გადაგექცევათ.

უნივერსიტეტის კედლებში თქვენ უამრავი მეგობარი შეიძინეთ, ზოგმა ცხოვრების თანამგზავრიც იპოვა, მინდა გითხრათ, რომ ჩვენც თქვენი უფროსი მეგობრები და გულმემატკივრები ვართ და თქვენი წარმატება, ჩვენი წარმატებაა. მინდა გზა დაგილოცოთ, წარმატებები გისურვებთ, ღირსეულად გეტარებინოთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის სახელი.

პროფესორი ლელა მასხაშვილი, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი:

ძვირფასო კურსდამთავრებულებო, გილოცავთ უმნიშვნელოვანეს დღეს თქვენს ცხოვრებაში. თქვენ გახდით ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრები და უკვე

ძალიან მალე შეუდგებით პრაქტიკულ საქმიანობას მედიცინის ამ შედარებით ახალ, მაღალი ტემპით განვითარებად, მეტად მოთხოვნიად დარგში. თქვენ ჩართვებით ურთულესი პაციენტების სარეაბილიტაციო მართვაში და იზრუნებთ მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ამ ოთხი წლის განმავლობაში თქვენ დიდი შრომა გასწიეთ უნივერსიტეტში სწავლისას, ეს იყო რთული და საინტერესო პროცესი. თქვენს გვერდით იყვენ თქვენი პროფესორ-მასწავლებლები და მათ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ თქვენ მზად იყოთ პროფესიული საქმიანობისთვის და წარმატებით გაართვათ თავი იმ გამოწვევებს, რომლებიც გექნებათ თქვენი პროფესიული კარიერის განმავლობაში. ჩვენ ყოველთვის მივადევნებთ თვალს თქვენს წარმატებებს და, დარწმუნებული ვარ, ვიამაყებთ თქვენი მიღწევებით.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ფაკულტეტის განვითარებაზე, მისი კლინიკური ბაზების თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვასა და გაძლიერებაზე. წელს უნივერსიტეტს ახალი, მეოთხე კორპუსი შეემატა, სადაც გაზაფხულის სემესტრიდან, სხვა დეპარტამენტებთან ერთად, ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტი და სპორტული მედიცინის და რეაბილიტაციის კლინიკური ცენტრი განთავსდა. აქ ყველა პირობაა შექმნილი აკადემიური პროცესის სრულყოფილად განსახორციელებლად, ისევე როგორც ნაყოფიერი სამეცნიერო და კლინიკური მუშაობისთვის. ეს შემდგომი განვითარების და ახალი მიღწევების უმნიშვნელოვანესი საწინდარია.

და კიდევ ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა! წელს კურსდამთავრებულები პირველად დასდებენ რეაბილიტაციის ფიცს. დარწმუნებული ვარ, მისი წარმოთქმის შემდეგ, თქვენ კიდევ უფრო ღრმად გააცნობიერებთ თუ რა რიგ დიდი პასუხისმგებლობა გენიჭებათ თქვენი პროფესიით მუშაობის დროს!

გისურვებთ წარმატებებს და გახსოვდეთ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მუდამ თქვენ გვერდითაა!

მედა ჯღარაკაძე, პროფესიული პროგრამების კოორდინატორი:

ძვირფასო კურსდამთავრებულებო, გილოცავთ მნიშვნელოვანი ეტაპის დასაწყისს თქვენს ცხოვრებაში. სიამაყით მინდა განვაცხადო, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი პირველი უნივერსიტეტია, სადაც მომავალი ექთნები იღებენ უმაღლეს განათლებას; თქვენ ხართ ბაკალავრების მესამე გამოცემა და დარწმუნებული ვარ, პირნათლად შეასრულებთ თქვენზე დაკისრებულ მოვალეობას, რადგანაც ხართ უნივერსიტეტის აღზრდილები, საშუალება გექვს, ჩამოყალიბოთ მაღალი სტანდარტის პროფესია – ექთნის პროფესია, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია პაციენტის ჯანმრთელობის მართვა და სასურველი შედეგის მიღება. თქვენ ხართ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანი რგოლი ჯანდაცვის სისტემაში, რომლის წარმატებაც წარმოუდგენელია თქვენს გარეშე. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, თქვენმა პედაგოგებმა საფუძველი ჩაუდგინეს თქვენს მიღების საშუალება მოცდას. გისურვებთ სამედიცინო უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის, უნარ-ჩვევების ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში გამოყენებას. პროფესიონალიზმი უკვე გამარჯვებაა.

ასოცირებული პროფესორი ლაპოშვილი, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსი:

დღეს მნიშვნელოვანი დღეა ჩვენთვის... ჩვენი ინტერნაციონალური ოჯახი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, გაცილებს კურსდამთავრებულებს, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გააგრძელებთ სამედიცინო სამსახურს. თქვენი ალმა-მატერი პროფესიული აღმასვლის გზაზე გიშვებთ. ჩვენ, აკადემიურმა პერსონალმა, ყველაფერი გააკეთეთ იმისთვის, რომ მაღალი დონის პროფესიონალები დამდგარიყავით. თქვენ დიდი შრომა ჩადეთ იმაში, რომ წარმატებით დაგესრულებინათ კურსი. მომავალში კიდევ არაერთი ეტაპი გექნებათ გასავლელი. ისწავლეთ სირთულეების გადალახვა, ირწმუნეთ საკუთარი ძალა და მაშინ ნათლად დაინახავთ ხალხის პატივისცემას, ნდობას, დაფასებას, მიხვდებით რომ შეგიძლიათ აკეთოთ გასასოცარი რამ – იყოთ კარგი ექიმი....

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მნიშვნელოვანი პლატფორმაა თქვენთვის, მომავალ კარიერაში წინსვლისთვის. მჯერა, სადაც არ უნდა იყოთ, არასდროს დაგავიწყდებათ უნივერსიტეტი, რომელიც მუდმივად თქვენს მეგობრად, მხარდამჭერად და რჩება – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი! წარმატებებს გისურვებთ.





ჩემი უნივერსიტეტი...

ექიმობა ჯერ კიდევ ბავშვობიდან მტკიცედ მქონდა გადწყვეტილი. დედაჩემიც ექიმი სტომატოლოგია და მისი საქმიანობა ჩემთვის ყოველთვის საინტერესო და მიმზიდველი იყო; მსურდა, ოდესმე მეც ჩამეცვა თეთრი ხალათი და ჩემთან მოსული პაციენტები უკან მომიღმარი და კმაყოფილი გამეშვა; შრომა დამიფასდა, მოვიპოვე 100%-იანი დაფინანსება. ჩემთვის სასურველი სასწავლებელი იმთავითვე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი იყო და დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არც შევმცდარვარ. ეს უნივერსიტეტი ნამდვილად საუკეთესო უმაღლესი სასწავლებელია, სადაც არა მხოლოდ თეორიას, არამედ მნიშვნელოვანი პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენასაც დიდი დრო ეთმობა. გამოცდილება და განათლებულმა პროფესორ-მასწავლებლებმა გვაზიარეს მედიცინის საფუძვლებს, დარგობრივ ცოდნას და პაციენტთან ურთიერთობის გასათვალისწინებელ ასპექტებს. მისაბამ მაგალითს კი ჩვენთვის, უპირველესად, სწორედ ისინი წამოადგინენ.

გავმხდარიყავი ექიმი, ოჯახის და იმ გარემოს დამსახურება, რომელშიც აღვიზარდე. ოჯახის წევრების ექიმობამ ჩემი პროფესიული არჩევანიც განსაზღვრა – ჯერ კიდევ ბავშვობიდან ვიცოდი, რომ ექიმი გავხდებოდი.

ექიმობისკენ მიმავალ დიდ გზაზე პირველი ნაბიჯები სამედიცინო უნივერსიტეტი ჩარიცხვასთან ასოცირდება, რომელმაც დიდი სიხარული მომანიჭა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დიდი ოჯახია, სადაც მედიცინის საფუძვლებთან ერთად ჰუმანურობას, კეთილსინდისიერებასა და პაციენტის სიყვარულს ვსწავლობდით. როცა ექვსი წლის შემდეგ უკან იხედები, აცნობიერებ, რომ ამ წლებმა ბევრი ისეთი შეგძინა, რაც შეუცვლელი და ფასდაუდებელია: მაპოვინა ადამიანები, რომლებიც ჭირსა თუ ლხინს ჩემთან ერთად იზიარებენ, შემხებედრა საუკეთესო ლექტორებს, რომელთა შორის ბევრი მისაბამია ჩემთვის და, რაც მთავარია, მომცა ცოდნა, რომელიც სამომავლო მიზნების განხორციელებაში დამეხმარება.

იყო ექიმი, ეს ცხოვრების წესია – ყოველდღიურად მაქსიმალურად ვაძვირებო, თუმცა ეს „მსხვერპლი“ არა მხოლოდ ნებაყოფლობითია, არამედ ამის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია.

დასრულდა სტუდენტობის ლამაზი წლები – პირველი ეტაპი უკვე გავლილია, საძირკველი ჩაყრილი, წინ კი დიდი გზა გასავლელი, სადაც იქნება სირთულეებიც, პრობლემებიც, გამოწვევებიც, თუმცა, პროფესიის სიყვარული, მჯერა, ყველაფერს დაგვადგინებს.

მინდა მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებიც დიდ მოტივაციას მაძლევდნენ სასურველი შედეგის მისაღწევად, რაც, ალბათ, ყველა სტუდენტისთვის აუცილებელია.

მომავალ ექიმებს კი ვეძღვები, რომ წინ ბევრი ლამაზი, საინტერესო დღე ელით; აუცილებელია მაქსიმალურად გამოიყენონ დრო ცოდნის შესაძენად, რათა მაღალკვალიფიციურ ექიმებად ჩამოყალიბდნენ.

ანი გვაჯანია,
მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

სატიან საჯალიაშვილი, სტომატოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

წლებადედა კურსდამთავრებულებს ვულოცავ სამედიცინო უნივერსიტეტის დასრულებას, მინდა, ყველანი წარმატებულნი გავხდეთ, რადგან ჩვენთან ძალიან ბევრს ელიან.

ოთხი წლის წინ, ზუსტად ამ დროს, ერთიანი ეროვნული გამოცდების მოლოდინში ვიყავი და მოუთმენლად ველოდი, როდის დაინფორმებდა ახალი ეტაპი ჩემს ცხოვრებაში. ამასთან, იყო ბევრი შეკითხვა – თუ რატომ ფარმაცის ფაკულტეტი?

უნივერსიტეტი გატარებული პირველი დღეები კი შეგუების და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის საწყისი იყო. ყველაფერი, რასაც ირგვლივ ვხედავდი, ახალი და უცხო იყო ჩემთვის. ამ პერიოდში არაერთი გამოწვევის წინაშე მომიხდა დადგომა – სრულიად განსხვავებული საგნების დაუფლება, ცხოვრების აჩქარებული ტემპი, პასუხისმგებლობის გრძობა, აყვანილი მაქსიმუმამდე და ბევრი დრო სიხალისის შესანახად. მერე ყველაფერს ნელ-ნელა შევეგუე და პირველი კურსის ბოლოს გადადგმული ნაბიჯის სისწორეშიც საბოლოოდ დავრწმუნდი. შევიძინე ძალიან ბევრი მეგობარი სხვა ფაკულტეტებიდანაც, რომელთაც კეთილი შურით შურით ჩემი, ასე ადრე რომ ვასრულებ სწავლას.

გაგიმართლათ, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები რომ გერქვათ, ზუსტად იმ ადგილზე მოხვდით, სადაც ასწავლიან თუ როგორ უნდა ზრუნავდე ადამიანის სიცოცხლეზე, როგორ დაეხმარო მას გამოჯანმრთელებაში და არ დაუშვა შეცდომები; ჩვენ ძალზე საპასუხისმგებლო მისია გვაკისრია – გავუფრთხილებთ და შევიწარმოებთ სვეის სიცოცხლე, რადგანაც თითოეულ არასწორ ქმედებას, შესაძლოა, უკიდურესად მძიმე შედეგი მოჰყვება.

ჩვენს უნივერსიტეტში და, კერძოდ, ფარმაცის ფაკულტეტზე, ყველა პირობა შექმნილი მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად. ფარმაცის ფაკულტეტის სტუდენტებს განსაკუთრებულად გავემართლა – გვევალბა ადამიანის გასაჯანსაღებლად საჭირო მედიკამენტების შემუშავება, გამოკვლევა, დამზადება, წარმოება, განაწილება, გაცემა და ა.შ. ასე, რომ ფარმაცევტს მეტად საპასუხისმგებლო როლი აქვს იმ დიდ სისტემაში, ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზრუნვა რომ ჰქვია.

განათლებულ სპეციალისტებად ჩამოყალიბების საქმეში დიდა ჩვენი ლექტორების წვლილი, რომ არა მათი დიდი მონდობა, მაღალი პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული, ნამდვილად გაგვიჭირდებოდა პროფესიის წარმატებით დაუფლება.

მომავალი კოლეგებო, ალბათ ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ წარმოგიდგენიათ, როგორი საინტერესო, დაუფინანსო და სირთულეებით აღსავსე ხანა გელოდებათ, მაგრამ მჯერა, ჩვენი უნივერსიტეტი, ფაკულტეტი მუდამ თქვენ გვერდით იქნება; ისინი ყველანაირად უზრუნველყოფენ ჩვენს სრულყოფილ სპეციალისტებად ჩამოყალიბების საქმეს; გისურვებთ წარმატებებს!

ნიკა თოდუა,
ფარმაცის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

პირველად სამედიცინო უნივერსიტეტში, დაახლოებით, 9-10 წლის ასაკში მოხვდი (უფროსი დის გამოცდაზე). ამ პერიოდში მოყოლებული, ყოველთვის ვიცოდი, სად მინდოდა სწავლის გაგრძელება, ამიტომ სკოლის დამთავრებისას ამაზე ბევრი არ მიფიქრია. არც სამედიცინო უნივერსიტეტის გარეშე ყოფილა ჩემთვის უცხო. მიზანია, რომ აქ სწავლის შესაძლებლობა მომეცა. ყოველთვის საიამაყო ადვინაა, რომ სამედიცინო უნივერსიტეტი საყვარელი მწერლის, ილია ჭავჭავაძის, სიტყვებს და ასე მოგმართავთ: „იცოცხლე, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია!“

მიუხედავად იმისა, რომ დრო ძალიან სწრაფად გავიდა, დამეთანხმებით, ოთხი წელიწადი სულაც არ არის ცოტა. მასობის, სწავლის დაწყების პირველი დღე – როგორ მოგიყვარეს თავი პირველ კურსელებს, თეთრი ხალათების ჩაცმა გვთხოვეს და ჩვენს უმეტესობას, ალბათ, თავი უკვე შემდგარი სპეციალისტი ეგონა. დროის ამ მონაკვეთში ძალიან გავიზარდეთ, ჩამოყალიბდით, გაგვიჩნდა ჩვენი უნივერსიტეტი, ჩვენი სწავლება და მისწავლება. გავიცანით და შევიძინეთ საუკეთესო მეგობრები, ლექტორები, რომლებიც ჩვენზე დიდ იმედებს ამყარებდნენ.

რაც შეეხება სასწავლო პროცესს, ნამდვილად არ იყო ადვილი: დაუსრულებელი „შუალედური“, გამოცდები, სემინარები, ლექციები... ასე, რომ სტუდენტობა და, მით უმეტეს, სამედიცინოში, არც ისეთი თავისუფლებაა, როგორც ფიქრობენ. ვფიქრობ, ძალიან გამიმართლა: მოხვდი მე-9 ფფუფში, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული იყო კურსზე, ყოველთვის იყო კონსერვტიული გარემო, ამავედროულად – საოცრად მეგობრული და არასდროს გვეკონდა მოდუნების საშუალება. მინდა მთელი ჯგუფის სახელით მადლობა გადავუხადო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, ჩვენს ლექტორებს, ადამიანებს, რომლებსაც ჩვენი ყოველთვის სჯეროდათ. ვფიქრობ, იმდენ არ გავიცრუებთ და წლების შემდეგ ღირსეულად გავაგრძელებთ თქვენ მიერ დაწყებულ საქმიანობას.

მჯერა, რომ დღევანდელი დღე არ არის დასასრული, პირიქით – ყველაფერი დღეიდან იწყება. „ძვირფასო ოთხი წელიწადი! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბენვის ხიდი ფეხთაქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგაინად მოგიხმარა“.

წარმატებებს გისურვებთ!
ძარისტინა ჯიზლაძე,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

ჯერ კიდევ აბიტურიენტმა, როდესაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს გვერდით ჩავუარე, გაგიფიქრე, რომ გავხდებოდი სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი, ბედნიერი ვარ, რომ ამ 4 წლის განმავლობაში ჩემი არჩევანი არ მინანია.

ბევრი მითქმა-მოთქმა მესმოდა, თითქოს აქ სწავლა რთული იყო, ბევრიც ჩემს არჩევანს სკეპტიკურად უყურებდა, მაგრამ თუ არჩეული პროფესია გიყვარს სირთულეები უკან იხევს არა მარტო მედიცინის სფეროში, არამედ ყველგან. სწავლა არც თუ ისე რთული აღმოჩნდა.

ბევრი კარგი ლექტორის გახსენება შემიძლია, რომლებმაც არა მარტო ცოდნა მომცეს, ზნეობრივად გამზარდეს, პროფესიული გამოცდილება გამიზიარეს, მასწავლეს კარგის და ცუდის გარჩევა. თსსუ ვითარდება ინფრსტრუქტურის მხრივაც. იხსენება ახალი კორპუსები, რემონტდება ძველი, მომავალ თაობებს უფრო კომფორტული გარემო ელით. თვითონ ეზოც საკმაოდ ლამაზია, აქ შესაძლებელია ლექციებიდან ლექციამდე შეხვედე თანაკურსელებს, უნივერსიტეტელებს, დაისვენო, ისაუბრო საინტერესო საკითხებზე. რაც მთავარია, სამივე კორპუსი ერთ ეზოშია მოთავსებული და ლექციებიდან ლექციამდე არ გინევს დიდი მანძილის გავლა.

სამედიცინო უნივერსიტეტში ბევრი მეგობარი შევიძინე, როგორც ქართველი, ისე უცხოელი. ადამიანის ცხოვრებაში სკოლის წლები, ერთი ეტაპის დასასრულია, უნივერსიტეტის წლები ჩემი აზრით, უფრო სერიოზული ეტაპია – პროფესიული ცხოვრების დასაწყისი, რისი საფუძველიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა მომცა. ჩემთვის ეს იყო მეორე სახლი, სადაც უმეტეს დროს ვატარებდი. გული მწყდება, რომ ეს ყველაფერი დამთავრდა, თუმცა სწავლა გრძელდება მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად, რაც გაფართოებული კლინიკური კომპეტენციის და სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევების შექმნას გულისხმობს, რაც შემდგომი წარმატების საინდარი იქნება.

გისურვებთ წარმატებას, არ შეგეშინდეთ სიძნეელების, დაისახეთ მიზანი და მაიღნიეთ!

ნინო მოლვაძე,
ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული,
დავით საგანელიძის სახელობის სტიპენდიატი

დღეს ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი დღეა – დასრულდა ცხოვრების განსაკუთრებული ეტაპი – სტუდენტობა და იწყება მეორე – პროფესიულ ასპარეზზე დამოუკიდებლად გასვლის პერიოდი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის წლებმა, ადმინისტრაციის და პროფესორ-მასწავლებლების ძალისხმევით, საშუალება მოგვცა, მიგველო ხარისხიანი განათლება, რომელიც წარმატებული პრაქტიკული საქმიანობის, კარიერული ნინსვლის საინდარი.

კურსდამთავრებულების სახელით, მადლობას ვუხდით ყველას, ვინც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენს განათლებასა და განვითარებაში, კერძოდ: ბატონ რექტორს, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ ლელა მასხულიას, პროფესორ პროგრამების კოორდინატორს, ქალბატონ მედეა ჯღარკავას, ქალბატონ ნინო თებულაშვილს და პროფესორ-მასწავლებლებს.

სამედიცინო უნივერსიტეტში გატარებული ოთხი წელი გახდება მყარი ფუნდამენტი ჩვენი მომავალი საქმიანობისა, რადგანაც ექონის საქმიანობა უმნიშვნელოვანესია ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის შენარჩუნებისთვის.

ყველას ვულოცავ უნივერსიტეტის დასრულებას და ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს!

ანა პაპიაშვილი,
საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული

მომაველის მედიცინა



მიმდინარე წლის 27 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი ზურაბ კაკაბაძე აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის პრემიის და მედლის პირველი ლაურეატი გახდა.

აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის სახელობის მედალი ენიჭება საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს მორფოლოგიურ მეცნიერებათა განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის, ან მორფოლოგიურ მეცნიერებათა განვითარების განსაკუთრებული ხელშეწყობისთვის. პრემია ენიჭება ავტორს ან ავტორთა ჯგუფს ბოლო სამი წლის მანძილზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ან ნაშრომთა ციკლისთვის.

მომაველის მედიცინა, რომელსაც პოტენციურად შეუძლია, ადამიანის სხეული განკურნოს ტრავმისა თუ ნებისმიერი დაავადებისგან, ნელ-ნელა იმკვიდრებს თავს; თუმცა, მანამ, სანამ იგი საბოლოოდ გაცდებდა სამეცნიერო ფანტასტიკის სფეროს და გახდებდა რეალობა, მრავალი პრობლემის გადაჭრაა საჭირო.

ჩვენ შევხვდით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული და პრეკლინიკური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ ზურაბ კაკაბაძეს და ვისთვისაც ესაუბრა თავიანთი ბოლოდროინდელი მიღწევების შესახებ რეგენერაციული მედიცინის დარგის, როგორც მსოფლიოში სადღესოდ ყველაზე სწრაფად განვითარებადი და სასიცოცხლოდ აუცილებელი მეცნიერების, შესახებ.

21-ე საუკუნეში რეგენერაციული მედიცინა გახდა ყველაზე სწრაფად განვითარებადი სფერო, რომელიც მოიაზრებს ადამიანის დაზიანებული ან დაავადებული ორგანოების აღდგენას ღეროვანი უჯრედების გამოყენებით და ცალკეული სრულყოფილი ორგანოების ან ქსოვილების in vitro პირობებში შექმნას შემდგომი გადანერგვის პერსპექტივით.

რეგენერაციული მედიცინა შეიცავს ოთხ ძირითად სტრატეგიას: პირველი სტრატეგია მოიცავს ბუნებრივი ფაქტორების გამოყენებით დაზიანებული ან დაავადებული ორგანოების აღდგენას. მაგალითად, სალამანდრას შეუძლია სრულად აღდგინოს ამპუტირებული კიდური, თავისი ნერვული დაბოლოებებით და ჩონჩხის ელემენტებით. ეს უნარი სალამანდრაში გამოწვეულია Pro1 და Bmp2 გენების არსებობით. ეს არის მხოლოდ ამ სახეობისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური გენი, რომელიც არცერთი სხვა ორგანიზმის გენს არ ჰგავს. რეგენერაციული მედიცინა ცდილობს აღდგინოს შეისწავლოს ეს უნიკალური რეგენერაციის მექანიზმი, რათა შემდგომში გამოიყენოს დაზიანებული ან დაავადებული ორგანოების აღდგენისათვის.

მეორე სტრატეგია დაფუძნებულია ბიოსამედიცინო ინჟინერიის პრინციპებზე, რომელიც გულისხმობს ლაბორატორიის პირობებში ახალი სრულყოფილი ქსოვილების ან ორგანოების შექმნას, მათ ბიორეაქტორში გაზრდას შემდგომი გადანერგვისთვის.

მესამე სტრატეგიის საფუძველს წარმოადგენს ადამიანის ორგანოების მქონე ქიმიური ცხოველების შექმნა, რაც შესაძლებელი ხდება რეპროდუქტოლოგიური ტექნოლოგიის გამოყენებით და ცხოველის ორგანოების ემბრიონული განვითარების პერიოდში ადამიანის ღეროვანი უჯრედების შეყვანის გზით.

მეოთხე სტრატეგია ეფუძნება ადამიანის დაზიანებული და დაავადებული ორგანოების, ან ქსოვილების აღდგენის მიზნით ღეროვანი უჯრედების გამოყენებას. ღეროვანი უჯრედების შეყვანა შეიძლება ლოკალურად, დაზიანებულ ორგანოებში, ან სისტემურად, სისხლის მიმოქცევაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული და პრეკლინიკური ანატომიის დეპარტამენტის სამეცნიერო ინტერესი ერთდროულად წარმოადგენს რამდენიმე მიმართულებით: პირველი – უჯრედული ტექნოლოგიები და უჯრედული თერაპია, რომელიც მსოფლიოში აქტიურად ვითარდება და თანდათან ბიოლოგიის ფუნდამენტური მეცნიერებებიდან, გადადის კლინიკურ პრაქტიკაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, კიბოს კვლევის ცენტრთან, რესპუბლიკურ საუნივერსიტეტო კლინიკასთან და „ინოვას“ სამედიცინო ცენტრთან ერთად, ჩაატარა აუტოლოგური ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის კვლევის პირველი კლინიკური ფაზა. აუტოლოგური ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედები გადაენერგა ზურგის ტვინის ტრავმის მქონე 75 პაციენტს, პარკინსონით დაავადებულ 3 პაციენტს, დეკომპენსირებული ლვიძლის ციროზის მქონე 42 პაციენტს და კარდიომიოპათიის მქონე 12 პაციენტს. კვლევებს ხელმძღვანელობენ პროფესორები: კონსტანტინე მარდალავიძე, ნიკოლოზ ყიფშიძე, ზურაბ კაკაბაძე და გოჩა ჩუტკერაშვილი.

კლინიკური კვლევის პირველ ფაზაში (უსაფრთხოების შეფასება) აუტოლოგური ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების შეყვანის დროს არცერთი გართულება არ დაფიქსირებულა, რაც გვაძლევს საშუალებას, ვიფიქროთ, რომ აუტოლოგური ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების შეყვანა პაციენტის ორგანიზმში უსაფრთხო მეთოდია.

დღეისთვის კლინიკური კვლევის მეორე ფაზა ტარდება, რაც აგრძელებს ახალი მკურნალობის უსაფრთხოების შეფასებას და ამ მეთოდის ეფექტიანობის განსაზღვრას. ამ ფაზის დასრულების შემდეგ დაიწყება კვლევის III და IV ფაზა.

აღსანიშნავია, რომ მკურნალობის ახალი მეთოდების შემუშავება ხანგრძლივი პროცესია, მრავალი ეტაპით, რაც ემსახურება უსაფრთხოების და ეფექტიანობის უზრუნველყოფას. თავდაპირველად იდეა მუშავდება და მონდობა ლაბორატორიის პირობებში. შემდგომ ტარდება პრეკლინიკური კვლევები და კლინიკური კვლევების ოთხი ფაზა და, თუ წარმატებული შედეგი იქნება მიღებული, იწყება მუშაობა ფარმაცევტულ ან ბიოტექნოლოგიურ სანარმოებთან. საბოლოო ჯამში, ახალი მეთოდის შემუშავებას შესაძლოა, 15-20 წელი და დიდი დაფინანსება დასჭირდეს.

მეორე მიმართულება, რაზეც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული და პრეკლინიკური ანატომიის დეპარტამენტი მუშაობს, ბიოსამედიცინო ინჟინერია. ვცდილობთ, შევქმნათ ინი ვიტრო ან ინი ვივო ცოცხალი, მოფუნქციონირე ქსოვილი, ან მთლიანი ორგანო, რომელიც გახდება დონორული ორგანოების ალტერნატივა.

ამ მიმართულებით პირველი პროექტები დაკავშირებული იყო სხვადასხვა ორგანოს ინი ვივო შექმნასთან. მაგალითად, წერილი ნან-ლავის დემუკოზირებადი ნაწილი მოფუნქციონირე ლვიძლის ქსოვილის და პანკრეასის ენდოკრინული

ფუნქციის მქონე ქსოვილების შექმნა. ამას გარდა, დეპარტამენტში ჩვენ მიერ შემუშავდა ორიგინალური ვენური კონტინერი, რომელიც განკუთვნილი იყო ლანგერჰანის კუნძულების გადასანერგად. ვენურმა კონტინერმა კარგი შედეგი აჩვენა ცხოველებში, რომელთაც ჰქონდათ დიაბეტის მოდელი.

სამწუხაროდ, საქართველოში დღესდღეობით ამ მეთოდების კლინიკურ პრაქტიკაში დანერგვა შეუძლებელია, რამეთუ ბიოინჟინერული ორგანოების შესაქმნელად საჭიროა დონორის ინსტიტუტის არსებობა სხვადასხვა უჯრედის (ჰეპატოციტები ან ლანგერჰანის) მოსაპოვებლად და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება ორგანოების მიღების და კონსერვაციისთვის.

დეპარტამენტში შევიშუშავით ინოვაციური მეთოდი, რომელმაც ბიოინჟინერული ლვიძლის შექმნის საშუალება მოგვცა ინი ვიტროში, რომლისთვისაც გამოყენებულ იყო დეცელულოზირებული ადამიანის პლაცენტა და ცხოველისგან მიღებული პლაცენტომა. ექსპერიმენტები ჩატარდა 28 ცხვაზე, რომელთაც ჰქონდათ 85%-იანი ლვიძლის რეპეციის მოდელი. შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ახლო მომავალში ბიოინჟინერული ლვიძლი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ფულმინანტური ლვიძლის უემარისობის მქონე პაციენტებში.

კიდევ ერთი მიმართულება, რომელიც იხვევს დეპარტამენტის ინტერესს, არის ბარიერული მემბრანების შექმნა და მათი გამოყენება ყბა-სახის ქირურგიასა და სტომატოლოგიურ პრაქტიკაში. მიმართულებას ხელმძღვანელობს პერსპექტიული ახალგაზრდა მეცნიერი ლია ყარალაშვილი. ჩვენ მიერ შემუშავებული ქორიონ/ამნიონური მემბრანები წარმატებით იქნა გამოყენებული კლინიკურ პრაქტიკაში (პროფესორი კონსტანტინე მარდალავიძე) იმ პაციენტებში, რომელთაც რადიაციული თერაპიის და კიბოს ამოკვეთის შემდეგ განუვითარდათ შეუხორცებელი ჭრილობა.

გარდა ამისა, დეპარტამენტში შემუშავდა სამგანზომილებიანი დეცელულოზირებული ბიოაქტიური ძვლის ფრაგმენტები, რომელიც მიიღება მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ბარძაყის ძვლისაგან. კვლევების ობიექტისთვის აქტიურად გამოიყენება მათემატიკური მოდელირების მეთოდები (პროექტის ხელმძღვანელი კონსტანტინე კალანდარიშვილი).

ბოლო 5 წლის მანძილზე ჩვენ გამოვაქვეყნეთ 11 სამეცნიერო ნაშრომი ზემოთ ჩამოთვლილ სფეროებში ისეთ იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, როგორებიცაა:

დასასრული მე-6 გვ. -ზე



ექსპერიმენტული და პრეკლინიკური ანატომიის დეპარტამენტის სამეცნიერო-კვლევითი გუნდი

Am J Transplant. 2013 Oct;13(10):2550-7

Correction of Diabetes Mellitus by Transplanting Minimal Mass of Syngeneic Islets into Vascularized Small Intestinal Segment

Kakabadze Z et al.

Transplantation of mature islets into portal vein has been most effective thus far, although attrition of transplanted islets constitutes a major limitation, and alternative approaches are required. We analyzed the mechanisms by which islets engrafted, vascularized and functioned over the long term in the small intestinal submucosa. To determine engraftment, survival and function, 350 syngeneic islets were transplanted into either intestinal segments or portal vein of diabetic rats. Islet reorganization, vascularization and function were analyzed by histological analysis, RT-PCR analysis as well as glycemic control over up to 1 year. Transplantation of syngeneic islets in marginal numbers successfully restored normoglycemia in diabetic rats. Transplantation of semi-pure islet preparation did not impair their engraftment, vascularization and function. Islets were morphologically intact and expressed insulin as well as glucagon over the year. Expression of angiogenic genes permitted revascularization of transplanted islets. We identified the expression of transcription factors required for maintenance of beta cells. These studies demonstrated that marginal mass of transplanted islets was sufficient to restore euglycemia in streptozotocin-treated rats. These superior results were obtained despite use of an impure preparation of islets in animals with small intestinal segment. Our findings will help advance new horizons for cell therapy in patients with diabetes.

ქურნალ „American Journal of Transplantation“-ის სტატია – „Correction of diabetes mellitus by transplanting minimal mass of syngeneic islets into vascularized small intestinal segment“ (პროფ. ზ. კაკაბაძე);

Transplantation. 2012 Aug 27;94(4):319-24.

An isolated venous sac as a novel site for cell therapy in diabetes mellitus

Kakabadze Z et al.

BACKGROUND: Transplanting pancreatic islets is of significant interest for type 1 diabetes mellitus. After intraportal injection of islets, inferior engraftment and eventual loss of transplanted islets constitute major limitations. Therefore, alternative approaches will be helpful. Here, we evaluated in animals whether an isolated venous sac would support survival of transplanted islets, along with correction of hyperglycemia.

METHODS: Pancreatic islets isolated from adult Lewis rats were transplanted either into an isolated venous sac made from lumbar vein or into the portal vein of syngeneic rats. The integrity and vascular organization of the venous sac was determined by studies of the local microcirculation. The engraftment, survival, and function of transplanted islets were analyzed by histology, including endocrine function in situ and by glycemic control in rats with streptozotocin-induced diabetes.

RESULTS: Transplanted islets showed normal morphology with insulin expression in isolated venous sac during the long term. Transplanted islets received blood supply from vasa vasorum and had access to drainage through venous tributaries in the venous sac. This resulted in restoration of euglycemia in diabetic rats. Removal of islet graft-bearing venous sac in diabetic rats led to recurrence of hyperglycemia. By contrast, euglycemia was not restored in rats treated by intraportal transplantation of islets.

CONCLUSIONS: We demonstrated that pancreatic islets successfully engrafted and functioned in the isolated venous sac with ability to restore euglycemia in diabetic rats. Therefore, the isolated venous sac offers a new site for transplantation of pancreatic islets. This would be clinically beneficial as an alternative to intraportal islet transplantation.

J Surg Oncol-ის სტატია – „Clinical application of decellularized and lyophilized human amnion/chorion membrane grafts for closing post-laryngectomy pharyngocutaneous fistulas“ (პროფ. ზ. კაკაბაძე);

J Surg Oncol. 2016 Apr 1; 113(5): 538-543.

Clinical application of decellularized and lyophilized human amnion/chorion membrane grafts for closing post-laryngectomy pharyngocutaneous fistulas

Kakabadze Z et al.

Background and Objectives. Squamous cell carcinoma is the most common pathological type among the cancers of the larynx. Standard treatment for squamous cell carcinoma of the larynx is the combination of chemotherapy, radiotherapy, and total glossectomy. Pharyngocutaneous fistula is a common complication of laryngectomy. We hypothesized that decellularized and lyophilized human amnion/chorion membrane can be effective, non-invasive method of treating pharyngocutaneous fistula.

Methods. A total of 67 patients with laryngeal squamous cell carcinoma were retrospectively analyzed after treatment in a prospective trial. After preoperative chemotherapy, radiotherapy, and total extended laryngectomy, primary wound healing occurred in 42 (62.7%) patients. Pharyngocutaneous fistula developed in 11 (19%) patients. Decellularized and lyophilized human amnion/chorion membrane grafts were used to reconstruct the fistulas.

Results. The average time for the full healing of the wound in all patients after transplantation of these grafts was 18 days.

Conclusion. The advantages of using these grafts over other existing methods of pharyngocutaneous fistula treatment are that they are non-invasive, prevent donor morbidity, and enable management of the wound without using classical wound gauze.

Transplant Proceedings-ის სტატია – „Prospect of using decellularized human placenta and cow placentome for creation of new organs: targeting the liver (part I: anatomic study)“ (პროფ. ზ. კაკაბაძე);

Transplant Proc. 2015 May;47(4):1222-7.

Prospect of using decellularized human placenta and cow placentome for creation of new organs: targeting the liver (part I: anatomic study)

Kakabadze A, Kakabadze Z.

INTRODUCTION: This paper presents anatomic studies of decellularized human placenta and cow placentome and proves that there is a possibility to create a scaffold using the natural microvascular structure for growing organs and tissues.

MATERIALS AND METHODS: The anatomic studies were conducted on 20 full-term placentas from human donors, and placentomes collected from 8 cows. Before the anatomic studies of human placenta and cow placentome, decellularization was conducted. For visualization of vessels, 50% Latex in water (hairt L3) through the umbilical cord artery and vein was injected. Corrosion casts were also prepared.

RESULTS: An important feature in the transplantation of microfragments of the liver tissue is the blood supply system of the pilled chorion, which consists of the main vascular trunks, and perivascular and superficial capillary network. Conditionally, based on the degree of difficulty, there are several types of grouping of the capillaries in terminal pile: simple capillary knot, coiled capillary knot, and complexly organized tangled capillary network with the richly anastomosing crimped microvessels. A similar pattern was observed in the terminal pile of the placentomes of the cow. For the creation of the auxiliary liver and connection of it into the systemic circulation of the recipient, we can use this exclusiveness of the angioarchitectonics.

CONCLUSIONS: Anatomic studies demonstrated that decellularized human placenta, as well as cow placentome, can be used as a scaffold for growth of organs and tissues in vitro and in vivo.

მოთავსის პერიოდი

დასაწყისი მე-5 გვ. -ზე

Stem Cells International; Transplantation; Journal of Surgical Oncology; American Journal of Transplantation; Oncology letters; Transplantation Proceedings; Obesity Surgery და ა.შ. ბოლო სამი წლის განმავლობაში დეპარტამენტმა მიიღო 3 ამერიკული და 1 ევროპული პატენტი.

2016 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამედიცინო ფონდის მიერ გამოცხადებულ სადოქტორო გრანტის კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა დეპარტამენტის დოქტორანტი კონსტანტინე ჩახუნაშვილი, სადოქტორო პროგრამით – „პლაცენტის ჭიპლარის არტერიისგან სამგანზომილებიანი მატრიქსის შექმნა და მისი გამოყენება ბილიარული ატრეზიის ქირურგიაში“.


აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი დეპარტამენტში მიმდინარე თითქმის ყველა კვლევაში. 2017 წელს ვარშავაში გაიმართა საერთაშორისო სამედიცინო კონგრესი – SIMC -2017, სადაც ჩვენმა სტუდენტებმა წარადგინეს კვლევა, სახელწოდებით – „დეცელულარიზებული სისხლძარღვის გამოყენება ვირთავის მუცლის აორტის დეფექტების რეკონსტრუქციისთვის“. წარმოდგენილ კვლევასთან დაკავშირებით, გაიმართა პროფესიული დისკუსია და დაისვა შეკითხვები, რომლის დასრულების შემდეგაც კონგრესის ჟიურის ხელმძღვანელმა და სამედიცინო საზოგადოების პრეზიდენტმა აღნიშნეს თემის აქტუალობა და მისი უპირატესობა სხვა სტუდენტურ მოხსენებებთან შედარებით.

მოხარული ვართ იმ ფაქტით, რომ ამ ახალგაზრდებისთვის ამ კონგრესში მონაწილეობა ძალზედ მნიშვნელოვანი იყო, როგორც პროფესიული განათლების, ისე გამოცდილების მიღების თვალსაზრისით, რითაც მათ გაუწიდათ მოტივაცია, ახალი ორიგინალური კვლევების სანარმოებლად.


დეპარტამენტის წარმომადგენლები, როგორც სპეციალები, ხშირად ლებულობენ მონაწილეობას სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებში თუ სიმპოზიუმებში. ამა წლის 25-27 ივნისს, ქალაქ ოსაკაში (იაპონია) გაიმართა მე-15 საერთაშორისო კონგრესი, მიძღვნილი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უახლეს მიღწევებსადმი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული და პრეკლინიკური ანატომიის დეპარტამენტი აღნიშნულ კონგრესზე ორი მოხსენებით წარდგება: „სამგანზომილებიანი ძვლის სკაფოლდის შექმნა და მისი გამოყენება კლინიკურ პრაქტიკაში“ (ასისტენტ-პროფესორი დავით ჩახუნაშვილი) და „მსხვილფეხა რქოსაში საქონლის დეცელულარიზებული პლაცენტომის, როგორც სამგანზომილებიანი სკაფოლდის, გამოყენება ღვიძლის მსგავსი მოფუნქციონირე ქსოვილის შექმნისათვის“ (პროფესორი ზურაბ კაკაბაძე). მინდა აღვნიშნო იმ ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფის შესახებ, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ დეპარტამენტში და თავიანთ სიტყვას ამბობენ მედიცინის ამ მეტად აუცილებელი და საჭირო დარგის განვითარების საქმეში: დავით ჩახუნაშვილი, ასისტენტ-პროფესორი, მედიცინის დოქტორი; ანა კაკაბაძე, მედიცინის დოქტორი; ლია ყარალაშვილი, ექიმი-სტომატოლოგი, PhD სტუდენტი; კონსტანტინე ჩახუნაშვილი – PhD სტუდენტი; კონსტანტინე ჩუტკერაშვილი – თსუ-ის ანატომიური თეატრის ხელმძღვანელი; კონსტანტინე კალანდარიშვილი – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; ანდერს ჰორნი – ბიოლოგი, დენვერი, კოლორადოს შტატი, აშშ; ნატალია მელაძე – მეან-გინეკოლოგი, დათუნა ჩახუნაშვილი – PhD სტუდენტი.

უჯრედული ტექნოლოგიები მსოფლიოში არა უახლოეს პერსპექტივად განიხილება, არამედ უკვე ფართოდ ინერგება კლინიკურ პრაქტიკაში.
მოამზადეს მანანა ფხალაძემ და დარეჟან კომლაძემ

ჟურნალ „ტრანსპლანტოლოგიის“ სტატია – „Autologous transplantation of bone marrow mononuclear cells in patients with decompensated cirrhosis“ (პროფ. ზ. კაკაბაძე);



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, კობოს კვლევის ცენტრთან, რესპუბლიკური საუნივერსიტეტო კლინიკასთან და „ინოვას“ სამედიცინო ცენტრთან ერთად ჩაატარა აუტოლოგური ძვლის ტვინის ღვიძლი უჯრედების გადაწერვის კვლევის პირველი კლინიკური ფაზა.



თსუ-ის ექსპერიმენტული და პრეკლინიკური ანატომიის დეპარტამენტის ახალგაზრდა მეცნიერთა გუნდი: ანა კაკაბაძე, დავით ჩახუნაშვილი, ნატალია მელაძე, ლია ყარალაშვილი, კონსტანტინე ჩახუნაშვილი, კონსტანტინე ჩუტკერაშვილი და დათუნა ჩახუნაშვილი.



ბიონსინერული ღვიძლის ტრანსპლანტაცია ექსპერიმენტში (ცხვარი);



ჟურნალმა „Oncology Letters“- გარე ყდაზე დაბეჭდა პროფესორ ზურაბ კაკაბაძის სტატიის ფოტო-მასალა.



გზია წერეთელი – 90



შრომის მედიცინის თვალსაჩინო მოღვაწეს, მეცნიერს, ექიმ-პროფპათოლოგს, მედიცინის დოქტორს, ქალბატონ გზია წერეთელს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა.

ქალბატონი გზია დაიბადა ქ. თბილისში, 1927 წლის 29 მაისს, ცნობილი იურისტის, პროფესორ ნიკოლოზ წერეთლისა და ექიმის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, ქალბატონ თამარ აბაშიძის ოჯახში.

1949 წლიდან, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ქალბატონი გზია მუშაობდა რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ექიმ-ორდინატორად. ხოლო 1956 წლიდან დღემდე მუშაობს ნ. მახვილაძის შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა ს/კ ინსტიტუტში, სადაც განვლო გზა მეცნიერ-თანამშრომლიდან ამავე ინსტიტუტის პროფესორულ დაავადებათა განყოფილების ხელმძღვანელამდე.

ქალბატონი გზია გამოცდილი ექიმი-პროფპათოლოგი და კვალიფიციური სპეციალისტია. მისი სამედიცინო კვლევების შედეგები ყოველთვის გამოირჩევა თემატიკის მრავალფეროვნებით და ანალიზის სიზუსტით. იგი უზაღლოა მეცნიერული კვლევების შედეგების განსჯის სფეროში. ფართოა ქალბატონი გზიას სამედიცინო ინტერესების სფერო. უაღრესად საინტერესოა მტვრისმიერი პროფესიული პათოლოგიის პრობლემის შესწავლისადმი მიძღვნილი მისი შრომები. მან გამოავლინა და აღწერა თამბაქოს მტვრის გავლენა გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე; დაადგინა, რომ თამბაქოს მტვრი გულის კუნთსა და კორონარულ სისხლძარღვებში პათოლოგიურ ცვლილებებს იწვევს. მეტად მნიშვნელოვანია მისი დამსახურება სამხარეო პროფესიული პათოლოგიის – მანგანუმის-მიერი დაავადებების დადგენაში. მან შეისწავლა მანგანუმის აეროზოლებითა და სანარმოო ვიბრაციით გამოწვეული გულ-სისხლძარღვთა სისტემის სპეციფიკური და არასპეციფიკური რეაქციები.

აღსანიშნავია ქალბატონი გზიას როლი პროფესიული პათოლოგიის მიმართულებით ახალგაზრდა მედიკოსთა აღზრდისა და პროფესიული ჩამოყალიბების საქმეში. იგი წლების განმავლობაში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში იუნესკოს ეგიდით შექმნილი ჯანსაღი ცხოვრების წესის კათედრის პროფესორი; მრავალი ათეული წლის მანძილზე მისი ხელმძღვანელობით ინსტიტუტის პროფესიულ დაავადებათა განყოფილების ბაზაზე წარმატებული ექიმი-პროფპათოლოგების მრავალი თაობა გაიზარდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალბატონი გზიას დამსახურება პროფესიულ დაავადებათა დამდგენი რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარედ მუშაობისას.

ქალბატონი გზია გახლავთ საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკური სამედიცინო კონგრესების და კონფერენციების მონაწილე. იგი არის 160-ზე მეტი სტატიის, მეთოდური მითითებებისა და სახელმძღვანელოს ავტორი.

ქალბატონი გზიას მრავალმხრივი პროფესიული საქმიანობა ასახავს პოულობს მის რეგალიებში: იგი არის საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, იმუნოლოგიისა და ალერგოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი, ლირსების ორდენის კავალერი. ვუსურვებთ ქალბატონ გზიას ხანგრძლივ ნაყოფიერ და ბედნიერ ცხოვრებას. იმედი გვაქვს, იგი კვლავაც აქტიურ როლს შეასრულებს პროფილაქტიკური მედიცინის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვან საქმეში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; ნ. მახვილაძის შრომის მედიცინის და ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი; საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემია

ყვარაზ ბერიანი წლების დასასრულს



სტუდენტობა ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი ხანაა ადამიანის ცხოვრებაში, ამიტომ მასთან დაკავშირებული ყველა მოვლენა განსაკუთრებულია. გადის წლები და შენი უნივერსიტეტი ისევე გიხსენიებს, როგორც მშობლიური კერა. ამ მიზეზიდან გამომდინარე... სწორედ ამ შინაგან ხმას მოჰყვება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (ცნობილი ექიმი, ყველათვის საყვარელი პოეტის, ტიციან ტაბიძის, შვილთაშვილი ნიკოლოზ (გივი) ანდროიძე).

ბატონი ნიკოლოზი სამედიცინო სფეროში დაიწყო მუშაობა – სასიამოვნო თუ სულიანსა და უძვირფასესია. მისთვის, ისე როგორც მთელი საქართველოსთვის, ახლოდღეობა და ამავედროულად უთვრესად საპატივცემულოა ტიციან ტაბიძისა და ოჯახის წევრების სახელები. (ცხადია, ბევრი ისეთი რამ აქვს მოსმენილი მშობლებისგან, რასაც სხვები ვერც მოისმენდნენ და რაზეც სხვები ვერც ილაპარაკებდნენ. თუმცა, ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ და დრომ აჩვენა, რომ არსებობს უმთავრესი ღირებულებები, რომელთა დალაპირება არა მარტო სულიერი ფიასკოა, არამედ ცხოვრებისეული კრახიც. სწორედ ამიტომაც, ახლა, როცა კიდევ ერთი სასწავლო წელი დასრულდა, როცა მისი მშობლიური უნივერსიტეტის ეზო სავესტა ლურჯმანტიანი კურსდამთავრებულებით, ის გულწრფელად ულოცავს ახალგაზრდებს ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყებას და უსურვებს იმ მთავარი ღირებულებების არდაკარგვას, რომელთა გარეშეც ვარსი ეკარგება ექიმისა და ადამიანის ამქვეყნიურ ზრუნვა-ფაციფუსს. ღირსების, კეთილსინდისიერების, უნაგარობის, პროფესიული თავდადება, კაცთმოყვარეობის, პასუხისმგებლობის გარეშე ყველაფერი უფასურდება.

დღეს ბატონი ნიკოლოზი გატაცებით საუბრობს თავის უმაღლეს სასწავლებელზე. აღნიშნავს, რომ ექიმის პროფესია მისთვის განსაკუთრებული და საკრალურია, რადგან ადამიანების სიცოცხლესა და ცხოვრების ხარისხთან აქვს საქმე. მისი ოჯახისთვის ეს პროფესია ტრადიციულია. მამაც და ბაბუაც ექიმები იყვნენ. მისი ბაბუა – ნიკოლოზ ანდროიძე (1889-1949) ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ურსდამთავრებული იყო. მან დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში ინფექციურ დაავადებათა ნინაზღმდებ რძილაში, ბავშვთა ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკის საქმეში. წელს ქ. თბილისის ბავშვთა ინფექციურ-კლინიკურ საავადმყოფოში მისი სახელი მიენიჭა.

ბატონი ნიკოლოზისთვის მისი ოჯახის წარსულთან დაკავშირებული ყველა მოვლენა – სასიამოვნო თუ სულიანსა და უძვირფასესია. მისთვის, ისე როგორც მთელი საქართველოსთვის, ახლოდღეობა და ამავედროულად უთვრესად საპატივცემულოა ტიციან ტაბიძისა და ოჯახის წევრების სახელები. (ცხადია, ბევრი ისეთი რამ აქვს მოსმენილი მშობლებისგან, რასაც სხვები ვერც მოისმენდნენ და რაზეც სხვები ვერც ილაპარაკებდნენ. თუმცა, ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ და დრომ აჩვენა, რომ არსებობს უმთავრესი ღირებულებები, რომელთა დალაპირება არა მარტო სულიერი ფიასკოა, არამედ ცხოვრებისეული კრახიც. სწორედ ამიტომაც, ახლა, როცა კიდევ ერთი სასწავლო წელი დასრულდა, როცა მისი მშობლიური უნივერსიტეტის ეზო სავესტა ლურჯმანტიანი კურსდამთავრებულებით, ის გულწრფელად ულოცავს ახალგაზრდებს ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყებას და უსურვებს იმ მთავარი ღირებულებების არდაკარგვას, რომელთა გარეშეც ვარსი ეკარგება ექიმისა და ადამიანის ამქვეყნიურ ზრუნვა-ფაციფუსს. ღირსების, კეთილსინდისიერების, უნაგარობის, პროფესიული თავდადება, კაცთმოყვარეობის, პასუხისმგებლობის გარეშე ყველაფერი უფასურდება.

„სტუდენტობის წლების დასასრულს ყველა კურსდამთავრებულს ვეტყვი: წინ კიდევ უფრო დიდი ბედნიერება გელით – ექიმად ყოფნის, სხვათა დახმარების ბედნიერება! წარმატება არ მოგკლებოდეთ ამ გზაზე!“, – ამბობს ბატონი ნიკოლოზი.

წარმატებული დასაწყისი



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში არაერთი ნიჭიერი, შრომისმოყვარე, მიზანდასახული სტუდენტი უფლება მედიცინის საფუძვლებს ბევრი მათგანისთვის სტუდენტობის უღამაზესი წლები, ცოდნის შექმნასთან ერთად, საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენის, მეტის შეცნობის თუნდომის დასამახსოვრებელ პერიოდად იქცა, დღეს კი უკვე მათ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ჰქვიათ და სრულიად ახალი, დამოუკიდებელი პროფესიული ცხოვრების დასაწყებად ემზადებიან. ამჯერად ერთ მათგანზე, მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებულზე, ნიჭიერებით და ინდივიდუალუზმით გამოჩენილ ნინო ყარაღაშვილზე გავსაუბრებ. სასიამოვნო გარეგნობის მიღმა გონიერი და მოაზროვნე ახალგაზრდა დგას, რომელმაც შეუძლებელი გასაუბრებელთაგან არ მოგვიბოლო. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტიპენდიატი, კონკურსში გამარჯვების შემდეგ, პროფესორ ნოდარ გრიგოლიას სახელობის პროგრამით, ორჯერ იმყოფებოდა სტაჟირებაზე გერმანიაში; ახლახან ავსტრიიდან დაბრუნდა, სადაც ვენის უნივერსიტეტში სწავლის და საუნივერსიტეტო კლინიკაში სტაჟირების საშუალება მიეცა. ზემოთქმული კარგად მეტყველებს მის, როგორც საუკეთესო და გამორჩეული სტუდენტის, შესაძლებლობებზე.

ნინო სიამოვნებით გვიყვება ბავშვობაზე, პროფესიის არჩევანზე, მშობლებზე, რომლებიც უმაღლეს ყველა მის წარმატებას; დედა ყოველთვის მისაბაძი იყო მისთვის, მაგალითი, თუ როგორ შეიძლება თავდაუზოგავი შრომით წარმატების მიღწევა და ღირსეული ადგილის დამკვიდრება. ექიმობაზე მეოცნებე ვაგონამ ვ. კომაროვის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა დაამთავრა, შემდეგ იყო ეროვნული გამოცდებით და, მისივე თქმით, ყველაზე მნიშვნელოვანი დღე, როცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა და დაიწყო თავდასავლებით და მოულოდნელობებით აღსავსე სტუდენტობის პერიოდი, რომელსაც ასე აფასებს: „სწორედ ამ უნივერსიტეტში გავიზარდე პიროვნულად, მეტყველურად... მინდა მადლიერება გამოვხატო პროფესორ-მასწავლებლებისადმი, რომლებმაც დიდი შრომა გასწიეს, რომ მოვემზადებინეთ ექიმობის რთულ და საპასუხისმგებლო გზაზე დამოუკიდებლად გასასვლელად“.

2013 წლის ზაფხულში ნინოს, კონკურსის შედეგად, პროფესორ ნოდარ გრიგოლიას სახელობის პროგრამით გერმანიაში, მიუნხენთან ახლოს, ლანდშუტის კლინიკაში სტაჟირების შესაძლებლობა მიეცა. როგორც მან გვითხრა, კონკურსში გამარჯვება ადვილი არ იყო, მთავარი მოთხოვნა მედიცინის საფუძვლების და გერმანული ენის სრულყოფილი ცოდნა იყო. იგი აღდროვნებით საუბრობს იმ გარემოზე, რაც გერმანიაში დასწავლა: „მოვიხიბლე ჩვენს დამოკიდებულებით, ვგრძობდი დიდ პატივისცემას ექიმებისა და სამედიცინო პერსონალისგან. გერმანელი პროფესორები ცდილობდნენ მეტი და მეტი ესწავლებინათ ჩვენთვის. პირველივე დღეს ოპერაციაზე დამაწინეს, მასწავლეს ქირურგიული ასისტირება და ქროლოზის გაკვრვა, რასაც შემდეგ დამოუკიდებლად ვაკეთებდი. პაციენტთან მუდმივად ყოფნის შესაძლებლობა საშუალება მომცა დამოუკიდებლად შემეკრიბა ანამნეზი და დამესვა სავარაუდო დიაგნოზი, შემდეგ კი პროფესორთან ერთად ხდებოდა ჩემი მოსაზრებების განხილვა“.

ლანდშუტის შემდეგ იყო ქალაქი აალენი, სადაც დამოუკ-

იდებლად, მეგობრის, თანაჯგუფელ თენგიზ ნაცვლიშვილის დახმარებით, მოიპოვა სტაჟირების უფლება და სტიპენდია. ისინი პირველი ქართველი სტუდენტები იყვნენ, ვინც სტიპენდია და აალენის საუნივერსიტეტო კლინიკაში მუშაობის უფლება მოიპოვეს. შემდეგ ისევ პროფესორ ნოდარ გრიგოლიას პროგრამით – კაუფორინის საუნივერსიტეტო კლინიკა. იგი მადლიერია უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, რექტორის, მედიცინის ფაკულტეტის დეკანატის, უცხო ენების ცენტრის, რომელთა ხელშეწყობითაც ორი სტუდენტი: ნინო და თეკლა ქურდიანი კონკურსის პირობებით შეირჩა და გაცვლითი პროგრამით ვენის უნივერსიტეტში 6 თვის მანძილზე სწავლის და საუნივერსიტეტო კლინიკაში სტაჟირების შესაძლებლობა მიეცა: „ეს იყო ვეროპის ერთ-ერთი ყველაზე დიდი კლინიკა მედიცინის და ქირურგიის განხრით, რომელიც განთავსებულია ორ 23 სართულიან კორპუსში. აქ დავეწარით გულის ტრანსპლანტაციის და სხვა უშიშართეს ოპერაციებს, ბევრი რამ ვისწავლე, თუმცა აქვე ვიტყვი, რომ უცხოეთში წასვლის წინ სულ ვერ ვიფიქროვდი, რადგან იქაური სტუდენტები ბევრად უკეთ მომზადებულნი იყვნენ, მაგრამ დავინახე, რომ ჩვენს უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა არაერთი ჩამოუვარდება იქაურს“.

აღსანიშნავია, რომ გაცვლითი პროგრამით ავსტრიის უნივერსიტეტიდანაც იმყოფებოდნენ სტუდენტები საქართველოში, რომლებმაც სტაჟირება ჩვენს საუნივერსიტეტო კლინიკებში გაიარეს და კმაყოფილებას და მადლიერებას ვერ დავრთვეთ აქ მიღებული შთაბეჭდილებების გამო. ჩვენი საინტერესო რესპონდენტი მედიცინასთან ერთად ლიტერატურის სიყვარულითაც გამოჩენილია, თავადაც წერს პატარა მოთხრობებს, ჩანახატებს, ან, უბრალოდ, ცხოვრების დასამახსოვრებელი, შთაბეჭდავი ფრაგმენტები გადააქვს ქალაქებზე, რასაც ერთგვარ თერაპიას უწოდებს. თხილამურების სიყვარულიც გამოადგა და სრიალითაც ისიაოვნა ავსტრიაში.

ჩვენს შეკითხვაზე – როგორი იქნება მისი რჩევები თუ სურვილები მომავალი ექიმებისადმი, ნინომ არჩეული პროფესიის უსაზღვრო სიყვარულსა და შრომისმოყვარეობაზე გაამახვილა ყურადღება, უცხო ენების შესწავლაც ურჩია ახალგაზრდებს, რათა უცხოეთში სტაჟირების და მეტი გამოცდილების შექმნის შესაძლებლობა ჰქონდეთ.

საინტერესოა, რომ ბევრი მიზანდასახული ადამიანისგან განსხვავებით, ნინოს არ უყვარს გეგმებით განვიწყობო ცხოვრება, უბრალოდ, ცდილობს, რასაც საჭიროდ მიიჩნევს, გააკეთოს, დანარჩენს კი ღმერთს ანდობს; რაც შეეხება სურვილებს, უნდა გინეკოლოგიაში, კერძოდ – ენდოკრინოლოგ-რეპროდუქტოლოგად სცადოს პროფესიული საქმიანობის დაწყება; სულ მალე, ივლისის დასაწყისში, იგი სწორედ რეპროდუქციულ გინეკოლოგიაში სტაჟირებაზე ისრავებულ გაემგზავრება.

შორეულ მომავალზე წინასწარ ფიქრით თავს არ იღლის, თუმცა ერთი რამ დანაშაულებით იცის: სადაც არ უნდა წავიდეს, ბოლოს მაინც საქართველოში დაბრუნდება და აქ გააგრძელებს საქმიანობას.

მანამდე ვერ კიდევ შორი და რთული გზა გასაგლეცი, პირველი ნაბიჯები უკვე შესაძრევი და შთაბეჭდავია, მისი გონიერების და შრომისმოყვარეობის გათვალისწინებით, წინ უსულად საინტერესო ცხოვრება და წარმატებული საქმიანობა ელის.

ნათო ბოლქვაძე



ლანდშუტის საუნივერსიტეტო კლინიკაში

ახალგაზრდა მკვლევარი საერთაშორისო ასპარეზზე

ერთდროულად ორი სტიპენდიის მფლობელი გახდა: DAAD-ის პროგრამით ერთწლიანი კვლევითი სტიპენდია ონკოპნათოლოგიის მიმართულებით ჰამბურგის ჰიქსენდორფის კლინიკასა და ERASMUS MUNDUS-ის პროგრამის პროექტ MEDEA-ს ფარგლებში 36-თვიანი სტიპენდია ბერლინის შარიტეს სამედიცინო უნივერსიტეტში, ზეტრანსლუზიული მედიცინის დარგში კვლევის საშუალებას რომ იძლეოდა...

„არჩევანი სახელოვან მარიტეზე შედეგ – თანამედროვე განსწავლულ სპეციალისტად ქვეყნისთვის ამ პროგრამის მეშვეობით მეტის გაანალიზება, ათვისება იყო შესაძლებელი...“

...და აი, უკვე სამი წელია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტი მათა ძამაშვილის შარიტეს კლინიკაში საქმიანობამ მისი კვლევის თვალსაზრისი მნიშვნელოვნად გააფართოვა – სადოქტორო თემის გარდა, რომელიც ერთდროულად მეტაბოლურ რეპროგრამირებას ეძღვნება, პერსპექტიული ქართველი ახალგაზრდა კიდევ რამდენიმე საინტერესო პროექტითაცაა დაინტერესებული – მუშაობს ლეროვან უნივერსიტეტში, იკვლევს იმუნოგლობულინს IT-ის (იმუნური ტრომბოციტოპენური პურპურა) მქონე პაციენტებში; სწავლობდა პრეპარატს კლინიკური კვლევის პირველ ფაზაში, რომლითაც ITP პაციენტებში ანტისხეულების წარმოქმნა უნდა დაეხლოკა.



წარმატებულ ნაბიჯებს კვლავ გამარჯვება მოჰყვა – 2015 წელს 15 წარმოდგენილ კვლევას შორის მათს ნამუშევარმა გაიმარჯვა და დაფინანსდა – „COST Basic training on NGS data analysis“ – ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად ქ. რიგაში. დრეზდენში, ლეროვანი უფრედების თემისადმი მიძღვნილი სწავლება კი, რომელიც გაერმანისა და კანადაში წელიწადში ორჯერ იმართება, მას ძალიან დაეხმარა პროფესიულ განვითარებასა და სამეცნიერო ცოდნის გაღრმავებაში.

გარდა ამისა, ახალგაზრდა მკვლევარს, კოლეგებთან ერთად, კვლევითი კოლაბორაცია აქვს მსოფლიოს სხვადასხვა კვლევით ცენტრთან. ამ წინსვლისგანადა იგი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ცოდნით აღიჭურვა, რამაც მის საუკეთესო სპეციალისტად ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. მალე მათა ძამაშვილი ციფრულ ექიმად დაბრუნდება სამშობლოში და იმედი აქვს, უცხოეთში მიღებული ცოდნა-განათლება ურთულესი დაავადებით შეპყრობილი პაციენტების გაჯანსაღებასა და განკურნებაში დაეხმარება...

მანამდე კი, მათა ძამაშვილი მადლიერების სიტყვებით მოხსენიებს შარიტეს სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის შესანიშნავ გუნდს, ყველაფერს რომ აკეთებს იქ მყოფი ქართველი ახალგაზრდებისთვის მშობლიური გარემოს შესაქმნელად; ასევე, მადლობას გამოხატავს თსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის მამონდლო ხელმძღვანელის, ქალბატონი ია ავალიანის მისამართით განვლული მხარდაჭერისა და თანადგომისთვის.

წარმატებები გვინდა ვუსურვოთ მათა ძამაშვილს, სამედიცინო უნივერსიტეტის ღირსეულ წარმომადგენელს საერთაშორისო ასპარეზზე. მისი წარმატებული ნაბიჯები ხომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კიდევ ერთი გამარჯვება და აღიარებაა.

ღარეჯან კომლაძე

ანტონ ჩეხოვი: მედიცინა ვერ მისაყვებურებს...

ისტორიას ახსოვს სახელები ერთდროულად ორი ჰუმანური პროფესიის – ექიმის და მწერლის – კარგად ცნობილი წარმომადგენლებისა: ფრანსუა რაბლე, ფრიდრიხ შოლერი, არტურ კონან დოილი, უილიამ სომერსეტ მოემი, მიხეილ ბულგაკოვი... ამ სიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ანტონ ჩეხოვს, თავისი თვითმყოფადი შემოქმედებით...

ჩეხოვის სახლ-მუზეუმის კართან მიმაგრებულია ძველი თუნუქის ფორფიტა წარწერით – „ექიმი ჩეხოვი“; მყუდრო, ორსართულიანი სახლის კედელზე განთავსებულ მემორიალურ დაფაზე კი წაკითხავთ: „აქ, 1886 წლიდან 1890 წლამდე ცხოვრობდა გამოჩენილი რუსი მწერალი ანტონ პავლეს ძე ჩეხოვი“. ეს დიდი მარმარილოს დაფა ოქროს ასოებით ისევე აფერმკრთალებს თუნუქის ფორფიტას, როგორც ჩეხოვის მწერლობამ დაწვრილა მისი ექიმობა, პროფესია, რომელსაც თავად მწერალი დიდ

მნიშვნელობას ანიჭებდა, მიიჩნევდა რა, რომ სამედიცინო-სამეცნიერო და საზოგადოებრივ-საზოგადოებრივ ცოდნა მას დაეხმარა როგორც ცხოვრებაში ბევრი შეცდომისგან თავის არიდებაში, ისე შემოქმედებაში – გმირების ხასიათის, მათი სამყაროს სრულყოფილად შეცნობა-გადმოცემის საქმეში.

ჯერ კიდევ ტავანროვის გიმნაზიაში სწავლისას გადაწყვიტა ჩეხოვმა ცხოვრება მედიცინასთან დაკავშირებინა და გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მოსკოვის სერენოვის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტში ჩაირიცხა.

ცნობილია, რომ ის ისეთივე ბეჯითი სტუდენტი იყო, როგორი მონესრიგებელი ადამიანიც გახლდათ: მუდმივად ესწავებოდა ლექციებს და პრაქტიკულ მეცადინეობებს, კეთილსინდისიერად აბარებდა გამოცდებს და ღირსეულად, მაღალი აკადემიური მოსწრებით გადადიოდა კურსიდან კურსზე. მეორე მხრივ, მას გაუმართ-

ლა, რადგან შესაძლებლობა ჰქონდა მოესმინა მედიცინის ისეთი კორიფების ლექციები, როგორებიც იყვნენ: გ. ზახარინი, ა. ოსტრაუმივი, ა. კოჟენინი-კოვი, ნ. სკლიფასოვსკი...

ახალკურსდამთავრებული ჩეხოვი ექიმის პრაქტიკას იწყებს ვოსკრესენსკის საავადმყოფოში, სადაც იმ დროისთვის ცნობილი ექიმ არხანგელსკისთან საექიმო პრაქტიკის გავლის მიზნით ჩადიდდნენ ახალგაზრდა ექიმები, მათ შორის იყო ჩეხოვიც. ახალგაზრდა ექიმის კეთილსინდისიერებამ, საქმიანადი სიყვარულმა მალე მიიქცია არხანგელსკის ყურადღება და ის დატოვა ერთადერთ ახალგაზრდა პრაქტიკოს ექიმად საავადმყოფოში. ჩეხოვი დაუახლოვდა ავადმყოფ გლეხებს, სამედიცინო პერსონალს, რაც კარგად აისახა მის მოთხრობებში. „სურვილი ემსახურო საერთო საქმეს, აუცილებლად გულისხმობდა უნდა მოდიოდეს, რაც ბედნიერების განცდას მოგანიჭებდა“, – ამბობდა ჩეხოვი.

ვოსკრესენსკის საავადმყოფოს შემდეგ ჩეხოვი მუშაობდა ზვენიგოროდსა და სოფელ ბაბკინოში. ზვენიგოროდში ხელმძღვანელობდა განყოფილებას საავადმყოფოში – მან შეცვალა შევსებაში მყოფი ექიმი ს. უსპენსკი. დღის პირველ ნახევარში დაკავებული იყო ავადმყოფების მიღებით (30–40 კაცი დღეში), ასევე, ასრულებდა მავრის ექიმის მოვალეობას; მუშაობა უხდებოდა, ასევე, სასამართლო მედიცინის მიმართულებით – ესწრებოდა გვაშების გაკვეთას და გამოდიოდა სასამართლო ექსპერტად; აკვირდებოდა გლეხების, მემამულეების, მავრის ინტელიგენციის ცხოვრებას. სწორედ ეს იქცა მისი მწერლობის მასაზრდოვლად და სიუჟეტების წყაროდ.

მიიღო რა ექიმის დიპლომი, 1884 წელს ჩეხოვმა ბონის კარებზე მიაკრა ფორფიტა წარწერით: „ექიმი ა. პ. ჩეხოვი“.

დასასრული მე-8 გვ.-ზე



„ჰიგია“ წარმართული პრეიერიტ ბაახიდა ქვედი თაობა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტის და ხელოვნების ცენტრთან არსებული თეატრი „ჰიგია“, ტრადიციულად, ახალი სპექტაკლებით ანებიერებს თავყვანისმცემლებს: დეკემბრის ბოლოს წარმოდგენილი „მარტოების“ შემდეგ, რომელმაც მკაცრების დიდი მონონე დაიმსახურა, რეჟისორმა ლაშა თაბუკაშვილის პიესის – „სადღაც, ცისარტყელას მიღმა“ – მიხედვით დადგმული სპექტაკლის პრემიერა შემოგვთავაზა.

მაყურებელი სავესტარებო სპექტაკლისადმი დიდი ინტერესს ცხადყოფდა. ერთმოქმედებიან სპექტაკლში „ჰიგიას“ მსახიობებმა თანამედროვეობისთვის ჩვეული გარემო და ახალგაზრდობის ცხოვრების ამსახველი სცენები გააცოცხლეს; დასამახსოვრებელი იყო არა მხოლოდ მთავარი როლების შემსრულებლები, არამედ თითოეული მათგანი, რომელიც მათივე თაობის ახალგაზრდებს განასახიერებდნენ – „უხემი“ დილოგებით, სლენგით მეტყველებით, ეპოქის თანადროული მოვლენების მკვეთრი წარმოდგენით, რამაც არათუ გადაფარა, უფრო გამოკვეთა სათქმელი: ამ უხემი, დაუნდობელი სასმაროს იქვე, ჩვეულებრივ, მგრძობიარე სულის ახალგაზრდები დგანან მათი ნაკლით და ღირსე-

ბებით, რომლებსაც გულწრფელად სჯერათ, რომ სადღაც, ცისარტყელას მიღმა, ჩვენი ოცნებებია, რომელიც აუცილებლად ახდება, თუკი ადამიანი გულთბილი მოინდომებს.

ალსანიშნავია, რომ სპექტაკლის მონაწილენი, უკვე ძველი თაობის მსახიობები: ბექა ხურციძე, ზურა ყიფშიძე, გიორგი ხარჩილავა, ეკატერინე ცეცაძე, რეზი ზაზაშვილი, ნინო ებიჭაშვილი ამ სპექტაკლით დაემშვიდობნენ „ჰიგიას“; დგება ახალი ეტაპი მათ ცხოვრებაში – პროფესიული ცხოვრების დასაწყისი.

სპექტაკლის შემდეგ გავსაუბრეთ თეატრის რეჟისორს, ნათია გუჯაბიძეს და ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელს, ეკატერინე ცეცაძეს.

ნათია გუჯაბიძე, თეატრ „ჰიგიას“ რეჟისორი, თსუ-ის ჰისტოლოგიის, ციტოლოგიის და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი:

„სასიხარულაა, რომ თეატრში მოდის ახალი თაობა, თუმცა, სამწუხაროდ, ძველი გვემტკივნოდა. გულით მინდოდა იმ თაობისთვის, რომელიც „ჰიგიას“ ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი თაობა იყო, ერთგვარი გამომავლები სპექტაკლი დამედგა. ლაშა თაბუკაშვილის დღეს წარმოდგენილი პი-

ესა სულ ახლახან, რამდენიმე თვის წინ დაინერა. ვცადე, ყოველგვარი ცენზურის გარეშე, შეულამაზებლად, ისე, როგორც პიესის ავტორი გვიყვება, წარმოემჩინა დღევანდელი, მისწრაფებები, ოცნებები, რაც მაყურებელს აუცილებლად დააფიქრებს: რა არის მისაღები და მოსაწონი და რა – პირიქით...“

ძალიან მიჭირს ძველი თაობის ამ მართლაც ნიჭიერ მსახიობებთან განმარტება – მათთან ხომ შემოქმედებითი ცხოვრების, უბრალოდ, მეგობრობის და ურთიერთობის საუკეთესო ნლები, წუთები მაკავშირებს; ერთად ვიმუშავებ სპექტაკლებზე, რომელიც მაყურებელს დაამახსოვრდა და შეუყვარდა კიდევ... გზას დაუფლოვებ თითოეულ მათგანს და წარმატებებს ვუსურვებ.“

„ჰიგიას“ მსახიობი ეკატერინე ცეცაძე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის კურსდამთავრებული:

სპექტაკლში მთავარი გმირის ბებიას განვასახიერებ. როგორც მსახიობისთვის, საინტერესო იყო გარდასახვა – ხანდაზმული ლექტორის როლის შესრულება. ვეცადე მისი თვალთ დაემანახა სტუდენტები, ახალგაზრდები... სიმბოლურია, რომ ეს „ჰიგიაში“ ჩემი ბოლო სპექტაკლია, შესაბამისად, მეტი პასუ-



სისამებლობით მოვეკიდე როლზე მუშაობას.

ბედნიერი ვარ, რომ შესაძლებლობა მქონდა „ჰიგიას“ მსახიობი ვყოფილიყავი, რომ მოხვდი გარემოში, სადაც თეატრის და ხელოვნების სიყვარულის გარდა ადამიანებთან ურთიერთობას ვსწავლობდი – „ჰიგია“ ხომ უპირველესად ურთიერთობა და სიყვარულია... სანყის ეტაპზე მეგონა, რომ აუცილებლად განსაკუთრებული ნიჭი იყო საჭირო ამ მოსახვედრად და შემდეგ მსახიობის მოვალეობის შესასრულებლად, თუმცა ვიტყვი, რომ ნათიას დამსახურება და გამორჩეული თვისება

ადამიანებში აღმოაჩინოს ნიჭი და დაინახოს რა კუთხით სჭირდება მას განვითარება. მაღლობა „ჰიგიას“ და სამედიცინო უნივერსიტეტს აქ გატარებული უბედნიერესი წლებისთვის...“

წარმატებული პრემიერის შემდეგ „ჰიგია“ განახლებულ „ქეთო და კოტეზე“ მუშაობას მიუბრუნდება, რომელსაც მონაკოს საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე წარადგენს აგვისტოში, ახალი სასწავლო წლიდან კი, ახალი თაობით შევსებული დასი, დარწმუნებული ვართ, კვლავ არაერთი პრემიერით გაახარებს თავყვანისმცემლებს.



დასანყისი მე-7 გვ. -ზე

მე-19 საუკუნის რუსეთში, ძირითადად, რამდენიმე კატეგორიის ექიმს შეხვდებოდით: მარზის ექიმი, ქალაქის ექიმები, სახელმწიფო სამსახურში მყოფი და კრძო პრაქტიკის მქონე ექიმები. იყვნენ მუდმივად „გამოძახებაში მყოფი“ ექიმები – ფინანსებით მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილი. ხელმძღვანელ თანამდებობებს იკავებდნენ მარზის მემამულეები, მინათმფლობელები, რომელთაც დიდად არ ანაღვლებდათ ადგილობრივი მოსახლეობის, მრავალრიცხოვანი გლეხების, ჯანმრთელობის მდგომარეობა. მცირე შემოსავლების მქონე მარზის მედიცინა შეიძლება ადგილად განდგურებულიყო, ექიმთა რიგები რომ რუსული ინტელექტუალის ისეთი ღირსეული წარმომადგენლებით არ შევსებულიყო, როგორც ვახლდათ ჩეხოვი.

„მედიცინა ნელ-ნელა წინ მიიწევა – ვეკურნალობ და ვეკურნალობ. ნაცნობი ბევრი მყავს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ავადმყოფიც – არანაკლები. მათი უმრავლესობის მკურნალობა მიხდება უფასოდ, ნაწილი მიხდის 5-3 მანეთს“, – წერდა ჩეხოვი ერთგან.

1890 წელს მწერალი გაემგზავრა კუნძულ სახალინზე, სადაც გაცივრო კატორღებში მძიმე ცხოვრებას; მას, ექიმს და მწერალს, სურდა თავად დაენახა იმდროინდელი რუსული ცხოვრების ყველაზე სამინელი მხარე, რომ მერე ხმაშეზღო მთელი საზოგადოებისთვის. ლაზარეთის, ადგილობრივთა ქობახების, ასევე, ციხეების სანიტარული მდგომარეობის შესწავლამ შეაძრუნა ჩეხოვი. სახალინზე მოგზაურობის შთაბეჭდილებები მწერალმა გადმოგვცა წიგნში – „კუნძული სახალინი“. სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის მისი გამოხატულება: „მედიცინა ვერ მიასყვედურებს... მას მევეცი ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი“.

ჩეხოვმა 1892 წელს, მოსკოვის მახლობლად, სოფ. მელიხოვოში შეიძინა მამული და იქ დასახლდა. „პირველივე დღეს, როგორც კი დავახლდით მე-

ანტონ ჩეხოვი: ბედნიერ ვერ მისაყვებუნებას...

ლიხოვოში, – მოგვითხრობს ჩეხოვის ძმა, – ირგვლივ ყველამ გაიგო, რომ ჩეხოვი ექიმი. დილაადრიან მისი სახლის წინ უკვე იდგნენ ქალები და ბავშვები და ელოდნენ მისგან საექიმო დახმარებას. ის გამოდიოდა, უსმენდა, სინჯავდა და არავის უშვებდა წამლის გარეშე.“ მოჰყავდათ სნეულები და მიჰყავდათ თავად ჩეხოვი ავადმყოფებთან. თუკი ადრე ჩეხოვს საექიმო საქმიანობა, ძირითადად, ზაფხულში უხდებოდა, მელიხოვოში იგი მთელი წლის განმავლობაში დატვირთული მუშაობდა. აქ, სოფლის მცხოვრებთათვის, ფაქტობრივად, გაიხსნა მარზის „შტატგარეშე“ ამბულატორია, სადაც ჩეხოვი დაუზარლად ასრულებდა მარზის ექიმის რთულ მოვალეობას – მუდმივად, დღისით თუ ღამით, მზად იყო არა მარტო ადგილობრივი პაციენტებისთვის, არამედ ახლომახლო სოფლებში მცხოვრებთათვისაც გაენია გადაუდებელი საექიმო დახმარება. ჩეხოვის ძმა, მიხეილი, ასე იხსენებდა ამ პერიოდს: „ანტონის დაძაბული მუშაობის რეჟიმი კარგა ხანი გავრქედა – მას უხდებოდა გასვლები ავადმყოფების მოსახსნა და სამკურნალოდ, იღებდა მათ ბინამიც და, პარალელურად, აგრძელებდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. სახლში დაბრუნებულს, უზომოდ დაღლილს კი თავი ისე ეჭირა, თითქოს ბევრი არაფერი გაუკეთებია; ხუმრობდა და ირგვლივ მყოფთაც ამხიარულებდა“. თავად ჩეხოვი ასე აფასებს მამინდელ ყოფას: „ზაფხულში რთული იყო ცხოვრება, მაგრამ ახლა მეჩვენება, რომ არცერთი ზაფხული ასე კარგად არ გამიხარებია, მოუხდევად ქოლერის ეპიდემიის შემთვევის და ჩემი უსახსრობისა. მიხაროდა სიცოცხლე.“

1891 წელს რუსეთში მძვინვარებს ქოლერის ეპიდემია და ჩეხოვი აქტიურად ერთეება მის აღმოფხვრასთან ბრძოლაში. მძიმე სანიტარული მდგომარეობა მელიხოვოში, სუსტი სამედიცინო მომსახურების ქელი, ქოლერის ეპიდემიის გავრცელების საშიშროების წინაშე აყენებდა დასახლებულ ადგილს, რაც ჩეხოვისგან სწრაფ და ენერგიულ მოქმედებას მოითხოვდა. მან თავის თავზე აიღო როგორც არაერთი სოფლის ცხოვრების, ასევე, ადგილობრივი მოსახტრის და რამდენიმე ფაბრიკის სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა – ორგანიზებას უწევდა საექიმო უზანს, სადაც უსასყიდლოდ იღებდა და მკურნალობდა ავადმყოფებს. მისმა ძალისხმევამ კარგი შედეგი გამოიღო.

სინამდვილეში ცხოვრების დამქანცველმა რეჟიმმა გადალალა ჩეხოვი, რაც, მოგვიანებით, მის წერილებშიც აისახა, ახლანაც კარგად გამოჩნდა მწერლის სეიმიზმი და მართოსულობა: „მე მარტო ვარ და ყველა-

ფერი ქოლერის შესახებ უცხობა ჩემი სულისთვის. ჩემი საქმიანობა კი, რომელიც მოითხოვს მუდმივ შხადყოფას ავადმყოფების დასახმარებლად, ურთიერთობას უამრავ ადამიანთან და ათასი წვრილმანის გათვალისწინებას, დამქანცველია ჩემთვის... ლიტერატურა „მოგდებოდა“ – წერაც აღარ შემიძლია, მე კი უბედურად ვგრძნობ თავს...“

როგორც კარგად ჩანს, მედიცინა ხანდახან ხელს უშლიდა მწერალ ჩეხოვს, რადგან მიჰქონდა ძვირფასი დრო და ძალები. ალსანიშნავია, რომ მას არასოდეს უწუნებია სხვებთან, ოჯახშიც კი არავის გაუგია, რომ ექიმის საქმიანობა ქანცავდა, რაც კარგად ავლენს მის ჰუმანურ ბუნებას, სამყაროსთან დამოკიდებულებას. გადართობის ფონზე თავი იჩინა ძველმა სენმა – ფილტვების ავადმყოფობა ჯერ კიდევ ბავშვობიდან აწუხებდა, რაც შემდგომ წლებში კიდევ უფრო გამწვავდა; განვითარდა ტუბერკულოზის მძიმე ფორმა, რაც სასიცოცხლო ძალებს აცლიდა დიდ მწერალს. 1894 წლის ზამთარში იგი ყირიმში გაემგზავრა: „ვექარობ... ხველამ თავი მომპყრდა“, – წერდა იგი მეგობარს, გამომცემელ სუვორინს. თავად მწერალი არ იმჩნევდა, რომ ცუდად იყო, მაშინაც კი, როცა ძმამ მის ცხვირსახოცზე სისხლი დაინახა, ჩეხოვი იქით ამშვიდებდა მას და სთხოვდა დედისთვის არაფერი ეთქვა.

ალტროიზმი, ზრუნვა ავადმყოფებსა და ახლობლებზე, თვითმწივნის უნარი, – აი, ის თვისებები, რითაც გამორჩეული გახლდათ დიდი მწერალი და ექიმი.

და არა მხოლოდ ექიმობა და მწერლობა, იგი საზოგადოებრივი მოღვაწეობითაც მისაბამი იყო: არასოდეს ყოფილა გულგრილი ადამიანის გაჭირვებისადმი; ზამთარში გაემგზავრა ნიჟინ-ნოვგოროდის გუბერნიამი, სადაც კინალამ დაიღუპა, შემდეგ – გორონევის გუბერნიამი, რათა ადგილზე გადაემყოფა როგორც დახმარებოდა შიმშილით განაშებულ ხალხს. მან დაინყო შენარულობების შეგროვება, ცდილობდა ხალხის სასარგებლოდ გამოეყენებინა თავისი ლიტერატურული მოღვაწეობაც – ბეჭდავდა სხვადასხვა ლიტერატურულ კრებულში, ასევე, აგროვებდა სამი სოფლის სკოლის მშენებლობისთვის თანხას, რაც მისი ძალისხმევით მალე განხორციელდა.

გულისხმობისა და სიკეთისთვის მწერალი ყველას გულწრფელად უყვარდა, ის არასოდეს ყოფილა მდიდარი, მატერიალურად უზრუნველყოფილი, რასაც სულაც არ განიცდიდა – ხალხის სიყვარული და პატივისცემა ყველაზე მეტად აბედნიერებდა...

სამედიცინო პრაქტიკის შეწყვეტა ავადმყოფობის გართულებით იყო გა-

მონვეული – ექიმობა ურჩიეს რადიკალურად შეეცვალა ცხოვრების წესი. მოუხდევად ამისა, ჩეხოვი არ წყვეტდა რჩევების მიცემას ახლობლებისა და ნაცნობების, უბრალო ადამიანებისადმი, წერდა, ხუმრობდა, აგრძელებდა საზოგადოებრივ საქმიანობას – უბრალოდ, ცხოვრობდა...

ზოგიერთი თანამედროვის დაკვირვებით, ჩეხოვი განიცდიდა, რომ მასზე, როგორც ექიმზე, სხვადასხვაგვარი მოსაზრება არსებობდა, განსხვავებით მისი მწერლობისგან, სადაც მის სიდიდეს და ექსაკუთრებულობას არავინ აყენებდა განცემებში. მწერალ ვასილ ნემროვიჩ-დანჩენკოსთან საუბრისას იგი გულმსტკივლით აღნიშნავდა: „ღმერთმა იცის და ოდესმე დარწმუნდებიან, რომ მე კარგი ექიმი ვარ“.

ცალკე საუბრის თემა მედიცინის გავლენა ჩეხოვის შემოქმედებაზე – ექიმობის დამსახურებზე პერსონაჟთა მთელი გაღრმავება, დაუფიქრარი სახეები მისი მოთხრობებიდან: კუსტი, წარბ-შეკრული, პირქუში გმირები, მათ შორის ექიმები: გულგრილები, თავხედები, მგრძობიარენი და ფაქიზი სულის ადამიანები... მისი მოთხრობები არა ექიმის ჩანაწერებია ვინაო გავებით, არამედ არასრულფასოვანი საზოგადოების „დაიგნოზი“. პრაქტიკოსი ექიმის ამბულაში ჩეხოვმა მიიღო მდიდარი მასალა შემოქმედებისა და მხატვრული განზოგადებისთვის.

ცნობილი რუსი ნეგოპიათოლოგის, ც. როსოლინოსადმი მიწერილ წერილში ანტონ ჩეხოვი აღნიშნავს: „ექვი არ მეპარება, რომ სამედიცინო მეცნიერების ცოდნამ სერიოზული გავლენა მოახდინა ჩემს ლიტერატურულ საქმიანობაზე. მან მნიშვნელოვნად გააფართოვა ჩემი თვალსაწიერი, რისი შეუფასებელი მნიშვნელობა ჩემთვის, როგორც მწერლისთვის; ზამთარში ზუსტად მხოლოდ ექიმმა გაიგოს. სწორედ მედიცინასთან სიახლოვემ არსებითი გავლენა მოახდინა ჩემს შემოქმედებაზე და დამიფარა ბევრი შეცდომისგან“.

ჩეხოვის მოთხრობები კარგად ადასტურებს, რომ სამედიცინო ცოდნა ეხმარება მწერალს მკაფიოდ წარმოაჩინოს ადამიანის ბუნება, მისი განცდები. ავადმყოფის მდგომარეობის გადმოცემისას ჩეხოვი არასოდეს მიმართავდა დეტალიზაციას, როგორც, ვთქვათ, ი. ტურგენევი და ლ. ტოლსტოი. იგი იყენებდა მანერას, რომელსაც მხოლოდ მისეულს, „ჩეხოვისეულს“ უწოდებენ ლიტერატურაში – არა რთულად გასაგები მეცნიერული ტერმინებით ან განმარტებებით, არამედ ტუნწი, სახასიათო შტრიხებით ხატავდა სეროსნაჟის მდგომარეობას. ჩეხოვი სიცოცხლეშივე აღიარებს დიდ მწერლად – ჯერ კიდევ ახალგაზრ-

ლობაში მიეწიჭა პუშკინის სახელობის პრემია; 1902 წელს კი, როცა ნიკოლოზ II-მ მასში გორკის საპატიო აკადემიკოსის ნოდება ჩამოართვა, ჩეხოვმა პროტესტის ნიშნად უარი თქვა საპატიო აკადემიკოსის ნოდებაზე, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა საკუთარი მაღალზნეობრიობა. მის ნაწარმოებებშიც ხომ მთავარი არჩევანია, არჩევანი სულიერების და ზნეობრიობის სასარგებლოდ, პასუხისგება იმაზე, რასაც ვირჩევთ და ამ გზით პიროვნების კათარზისი.

დიდი მწერალი 1904 წელს ტუბერკულოზით გარდაიცვალა გერმანიის სასკურორტო ქალაქ ბადენვილერის სასტუმროს ნომერში. როგორც ცნობილია, აქ სასიკვდილოდ განწირულ პაციენტებს სამედიცინო უმასინძლებოდნენ. დაუსხა რა ექიმმა შამპანური, მისმა სიტყვებმა ისევე უბრალოდ და საოცრად ზუსტი აქცენტით გაიფურა, როგორც სწორედ მას შეეფერებოდა: „დიდი ხანია შამპანური არ დამიღვია!“

„ექიმის პროფესია გმირობაა, რომელიც მოითხოვს თავდადებას, სულის სინამდვილე და სუფთა აზრებს... უნდა იყო ნათელი გონების, სწორი მსოფლმხედველობის და გარეგნობითაც სასიამოვნო“, – აღნიშნავდა ერთგან მწერალი. ყველა ამ მოთხოვნის სრულად პასუხობდა თავადვე – დიდი მწერალი, კარგი ექიმი, გამორჩეული მოაზროვნე და არაჩვეულებრივი ადამიანი – ანტონ ჩეხოვი.

გვერდი მოამზადა ნატო ბოლქვაძემ

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია
 ვაჟა-ფშაველას გამზირი №33,
 ოთახი №600,
 ტ.: 254-24-64

რედაქტორი
ლელა ჯიყაშვილი
კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე
 ტ.:555 29 98 27
დარეჯან კომლაძე
 ტ.:558 17 08 47
ნატო ბოლქვაძე
 ტ.:555 28 28 97
 ელ-ფოსტა
 newspaperstsmu@gmail.com